პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერწყმეთ!

კომუნისტი

№ 15 (11321)
შაბათი
17
იანვარი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მოუწოდებენ საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქეს დროზე გაიარონ აღწერა, ყოველნაირად შეუწყონ ხელი მის ორგანიზებულად მოწყობას, რათა არც ერთი დასახლებული პუნქტი, არც ერთი საცხოვრებელი სახლი, არც ერთი ადამიანი არ იქნას გამოტოვებული აღწერის დროს.

ჩვენი შვიდწლედი, ჩვენი ამოცანები

ჩვენი დიადი ქვეყანა უმაგალითო პატრიოტული აღფრთოვანებით ემზადება მშობლიური კომუნისტური პარტიის XXI ყრილობისათვის. ყოველი დღე აღსავსეა დიდმნიშვნელოვანი მოვლენებით, ახალ წარმატებათა მაუწყებელი ამბებით.

რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა შრომელის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XIX ყრილობა, რომელიც 12-13 იანვარს მიმდინარეობდა. ყრილობამ მოისმინა და განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. ჭავანაძის მოხსენება „თეზისები ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა სკკპ XXI ყრილობაზე „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები“ და საქართველოს კომუნისტური პარტიის ამოცანები“.

საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის და დეკემბრის პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებები და ამით მკაფიოდ გამოხატა ხალხის საუკეთესო ფიქრები და მისწრაფებები. ყრილობამ სიტყვა მისცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ მდიდარ რევოლუციურ ტრადიციებზე აღზრდილი და მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი, ყოვლისმძლე დოქტრინისადმი უსაზღვროდ ერთგული საქართველოს პარტიული ორგანიზაცია დაუცხრომლად იბრძოლებს გაშლილი კომუნისტური შენებლობის პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის.

ყრილობის მთელმა მუშაობამ გამოააშკარავა ძალით ცხადყო, რომ საქართველოს მშრომელებმა, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, შვიდწლიანი გეგმა მიიღეს როგორც თავიანთი ოცნების საქმე. შვიდწლედის საკონტროლო ციფრებს განიხილავენ თვითეულ საწარმოსა და კოლმეურნეობაში, თვითეული საბჭოთა ადამიანის ოჯახში, ვინაიდან ეს ჩვენი შვიდწლედია, ჩვენი ლამაზი ქვეყნის, მისი შემდგომი განუხრელი ზრდისა და აყვავების, მისი ეკონომიკისა და კულტურის განვითარების შვიდწლედია.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში დასახულმა საკონტროლო ციფრებმა ფართოდ გაუხსნა გზა მასების შემოქმედებითს აქტივობას. ამაზე ნათლად მეტყველებენ კომუნისტური შრომის ბრიგადების ყოველდღიურად ზარდი წარმატებანი, ის დიდი ღონისძიებანი, რომლებიც მოპოვებულია ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

საამაყო მაჩვენებლებით ეგებებიან პარტიის XXI ყრილობას საქართველოს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები. 1958 წლის გეგმა რესპუბლიკის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა. 1957 წელთან შედარებით საერთო პროდუქციის მოცულობა გადიდდა 11,5 პროცენტით.

თავდადებით მუშაობენ სოფლის მეურნეობის მშრომელები. უკანასკნელ ხუთ წელიწადში მოპოვებულია თვალსაჩინო წარმატებანი ჰექტარზე ფერადფეროვანი სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. წინა ხუთწლედის — 1949-1953 წლების საშუალო წლიურ მაჩვენებლებთან შედარებით ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადება 1958 წელს გადიდდა 45 ათასი ტონით, ხილისა და ციტრუსებისა — სამჯერ, ყურძნისა — თითქმის ორნახევარჯერ, თამბაქოსი — 2,8 ათასი ტონით, ხორცისა — ერთნახევარჯერ, რძისა — თითქმის ერთიორად.

მაგრამ შვიდწლიანი გეგმა კიდევ უფრო დიდ ამოცანებს სახავს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე. შვიდწლედის დავალებებში ჩაწერილია:

— განმტკიცდეს სათბობ-ენერგეტიკული ბაზა, შემდგომ განვითარდეს შავი და ფერადი მეტალურგია, დაჩქარდეს ქიმიური მრეწველობის განვითარება, რომლის პროდუქცია გადიდდება 6-ჯერ.

— ყოველი ღონისძიებით გაფართოვდეს ელექტროტექნიკური წარმოება და ხელსაწყოთმშენებლობა. მკვეთრად გაიზარდოს სამაგისტრალო ელექტრომავლების გამოშვება.

— მნიშვნელოვანი მასშტაბით გაიშალოს საბინაო მშენებლობა.

— მიღწეულ იქნას სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობა სულ ცოტა ერთნახევარჯერ-ორჯერ, უწინარეს ყოვლისა, მეჩაიეობის, მეციტრუსეობის, მევენახეობისა და მეხილეობის, აგრეთვე მეცხოველეობის აღმავლობა.

ამოცანა ის არის, რომ შვიდწლიანი გეგმის დიადი დასახულობანი ცოცხალ, პრაქტიკულ საქმეებად ვაქციოთ, ხორცი შევასხათ მომავალი შვიდწლედის საკონტროლო ციფრებს.

ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ შვიდწლიანი გეგმის შესრულების წარმატება გადაწყდება უშუალოდ საწარმოებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო დაწესებულებებში, პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში.

ამასთან დაკავშირებით კიდევ უფრო მაღლდება როლი პარტიული ორგანიზაციებისა, რომლებიც მოწოდებული არიან დარაზმონ მშრომელთა ფართო მასები შვიდწლედის დიად დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის საბრძოლველად. ისინი უფრო ღრმად უნდა ჩაწვდნენ წარმოების ეკონომიკას, საქმის ცოდნით უხელმძღვანელონ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას, უზრუნველყონ ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგის მძლავრი აღმავლობა.

ჩვენს საწარმოებსა და კოლმეურნეობებში ბევრი შესანიშნავი, წარჩინებული ადამიანია, რომლებიც შრომითი გმირობის საუკეთესო მაგალითებს გვიჩვენებენ. პარტიული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ მოწინავეთა გამოცდილება შეისწავლონ, გადაიღონ და დანერგონ თვითეულ საწარმოში, კოლმეურნეობ ა ს ა და საბჭოთა მეურნეობაში.

ყრილობამ რესპუბლიკის ყველა პარტიულ ორგანიზაციას დაავალა გააძლიერონ მასობრივ-პოლიტიკური და პროპაგანდისტული მუშაობა, ყოველდღიური დახმარება გაუწიონ კომკავშირულ ორგანიზაციებს ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში.

XIX ყრილობის გადაწყვეტილებებით შეიარაღებული ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი, რომლებიც მჭიდროდ არიან დარაზმულნი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. მთელ თავიანთ ძალებსა და ენერგიას, ცოდნასა და უნარს მოახმარენ დიადი შვიდწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელებას.

დღლი დაიწყო

ხიღნალი. („კომუნისტის“ კორ.). ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში დიდი ყურადღება ექცევა მეცხვარეობის შემდგომ განვითარებას. მარშან ძველანაგელმა მეცხვარეებმა ალბანელთა მაგალითისამებრ ცხვრის ნერბები დაწესებულ ვადაზე ერთი თვით ადრე ჩაატარეს.

ძველანაგელები ცხვარს ალაზნის ველზე აზამთრებენ. ამ დღეებში აქ დოლი დაიწყო. მეცხვარეობის იმ ბრიგადას, რომელსაც გ. ჩალაბაშვილი ხელმძღვანელობს, 668 დედაცხვარი ჰყავს დასაოდლებელი. 187 ცხვარი უკვე დაოდლებულია, მიღებული ნამატი — 198 ბატკანი სრულიად ჯანსაღია.

მწყემსები ი. ღვედაშვილი, ი. ჩალაბაშვილი, თ. ალუღიშვილი, ა. ჯანიბეგაშვილი ენერგიას და გამოცდილებას არ იშურებენ. რომ მიღებული ნამატი შეინარჩუნონ.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

სახალხო მეურნეობის განვითარება, ხალხის ცხოვრების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლება 1958 წელს ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

I
მრეწველობა

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა, მშრომელთა მასების შემოქმედებითი აქტივობის ზრდა ხელს უწყობდნენ მრეწველობის შემდგომ წარმატებით განვითარებას 1958 წელს.

მრეწველობის მუშაკებმა, ჩაებნენ რა საყოველთაო სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში კომუნისტური პარტიის მომავალი XXI ყრილობის აღსანიშნავად, მიაღწიეს სამრეწველო წარმოების წლიური გეგმის ვადამდე შესრულებას.

სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული იყო მრეწველობის პროდუქციის ზრდა 1958 წელს 7.6 პროცენტით, აქედან წარმოების საშუალებათა წარმოებისა (ჯგუფი „ა“) — 8,3 პროცენტით და მოხმარების საგნების წარმოებისა (ჯგუფი „ბ“) — 6,1 პროცენტით.

სახელმწიფო გეგმის ეს დავალება შესრულებულია მნიშვნელოვანი გადაჭარბებით. სამრეწველო წარმოების მოცულობა 1958 წელს 1957 წელთან შედარებით გადიდდა 10 პროცენტით, აქედან ჯგუფი „ა“, წინასწარი მონაცემებით, — 11 პროცენტით, ჯგუფი „ბ“ — 7 პროცენტით.

ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ ვადამდე შეასრულა მთლიანი პროდუქციისა და მეტი წილი უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა.

წარმოების გეგმის შესრულება და მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ზრდა ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკებში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით.

	1958 წლის გეგმის შესრულების პროცენტი	1958 წელი ცენტობით 1957 წელთან შედარებით
რუსეთის სფსრ	104	109,5
უკრაინის სსრ	103	110
ბელორუსიის სსრ	104	111
უზბეკეთის სსრ	103	106
ყაზახეთის სსრ	103	111
საქართველოს სსრ	105	111
აზერბაიჯანის სსრ	102	108
ლიტვის სსრ	108	114
მოლდავეთის სსრ	107	112
ლატვიის სსრ	109	112
ყირგიზეთის სსრ	102	109
ტაჯიკეთის სსრ	102	108
სომხეთის სსრ	104	112
თურქმენეთის სსრ	104	107
ესტონეთის სსრ	106	110

სახალხო მეურნეობის სახეობის მრეწველობამ მთლიანი პროდუქციის წლიური გეგმა შეასრულა 104 პროცენტით. გეგმა ყველა სახალხო მეურნეობის სახეობამ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა.

მთლიანი პროდუქციის ზრდა სახელმწიფო მრეწველობის ცალკეულ დარგებში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1958 წელი პროცენტობით 1957 წელთან შედარებით
შავი და ფერადი მეტალურგია	109
სათბობისა და ენერგეტიკული მრეწველობა	110
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	114
ქიმიური და რეზინის მრეწველობა	113
საშენი მასალების წარმოება	125
ხეტყის, ქაღალდისა და ხის დასამუშავებელი მრეწველობა	109
მსუბუქი მრეწველობა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების მრეწველობა	109
კვების მრეწველობა	105

1958 წელს მატერიალური და ფინანსური რესურსების მაქსიმუმი მოხმარდა სახალხო მეურნეობის გეგმის მთავარი ამოცანების შესრულებას, რომელიც ითვალისწინებდა ქიმიური მრეწველობის, ნავთობის (განსაკუთრებით ნავთობგადამუშავების) და გაზის მრეწველობის, შავი და ფერადი მეტალურგიის (და უწინარეს ყოვლისა სამთამადნო ბაზის) დაჩქარებულ განვითარებას.

ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მუშაკებმა, ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს ქიმიური მრეწველობის განვითარების დაჩქარების შესახებ, **გადაჭარბებით შეასრულეს ძირითად სახეობათა სინთეზური ფისებისა და პლასტიკური მასების, აგრეთვე ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოების წარმოების წლიური გეგმა.** ამ სახეობათა პროდუქციის წარმოება 1958 წელს მნიშვნელოვნად გადიდდა 1957 წელთან შედარებით. ვადამდე შესრულდა მინერალური სასუქების, ავტომობილის საბურთა, კაუსტიკური და კალცინირებული სოდის, სინთეზური ამიაკისა და გოგირდმჟავას წარმოების გეგმა.

გადაჭარბებით შესრულებულია ნავთობის ამოღებისა და ბევრი ნავთობპროდუქტის წარმოების გეგმა. გაზის მოპოვება და წარმოება მარტო 1958 წლის თითქმის ერთნახევარჯერ გადიდდა. შავი მეტალურგიის მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს წლიური გეგმა მთელი მეტალურგიული ციკლის მიხედვით, რამაც შესაძლებელი გახადა წლის დამლევამდე გეგმის გადაჭარბებით მიგვეღო მნიშვნელოვანი რაოდენობის ლითონი. გადაჭარბებით შესრულებულია რკინისა და მანგანუმის მადნის ამოღების გეგმა. ვადამდე შესრულებულია უმნიშვნელოვანეს სახეობათა ფერადი ლითონების — ალუმინის, სპილენძის, ტყვიის, თუთიის, კობალტის, ნიკელის, მაგნიუმის, კობალტის, ტიტანის, მოლიბდენის პროდუქციის წარმოების წლიური გეგმა.

გადაჭარბებით შესრულებულია მძიმე მრეწველობის ბევრ სხვა უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების 1958 წლის გეგმა, აქედან: ქვანახშირისა და ფიქალების ამოღების კოქსის, ქვანახშირის ბრიკეტების, ელექტროენერგიის, ორთქლის ტურბინების, 100 კილოვატამდე სიმძლავრის ელექტროძრავების, ელექტროვაკუუმური ხელსაწყოების, ტურბობურღების, ქვანახშირის კომბაინების, ლითონსაჭრელი ჩარხების, სამჭედლო-საწნეხი მანქანების, ქიმიური მოწყობილობის, სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების ბურთულ საკისარებისა და გორგოლაჭოვანი საკისარების, ტრაქტორების, მარცვალსაშრეხი მანქანების, ტრაქტორის კიდული სათესი მანქანებისა და კულტივატორების, ექსკავატორების, ავტოგრეიდერების, ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების, ფანჯრის მინის, რბილი სახურავის, აზბესტის, კრისტალური გრაფიტის, წებილი ფანერის, მუყაოს, ქაღალდის, ცელულოზის, დახერხილი მასალების წარმოების, აგრეთვე მერქნის გამოზიდვის წლიური გეგმა.

აგრეთვე გადაჭარბებით შესრულებულია სახალხო მოხმარების ბევრი უმნიშვნელოვანესი საქონლის წარმოების 1958 წლის გეგმა. წლიური გეგმის გადაჭარბებით ნაწარმოებია: ბამბის, სელის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილები, სასაცვლე და ზედა ტრიკოტაჟი, წინდები, ფეხსაცმელი, ფოტოაპარატები, როიალები და პიანინოები, ავეჯი, ხორცი, ძეხვეული, კარაქი, მოუხდელი რძის პროდუქცია, ფეხვნილი შაქარი, საკონდიტრო ნაწარმი, ყურძნის ღვინო, შამპანური, ჩაი, საპონი და ფართო მოხმარების სხვა საქონელი. გადაჭარბებით შესრულებულია თევზის ჰერის წლიური გეგმა.

მრეწველობის უმნიშვნელოვანეს სახეობათა მეტი წილი პროდუქციის წარმოების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისას უკმარშესრულებულია მეტალურგიული მოწყობილობის ნავთობაპარატურის, მაგისტრალური თბომავლების, შიფერის, აგურის, სტანდარტული სახლების დეტალების კომპლექტების, რადიომიმღებთა, საყოფაცხოვრებო მაცივრების, სარეცხი მანქანების, საკერავი მანქანებისა და ზოგიერთ სხვა სახეობათა პროდუქციის წარმოების გეგმა, თუმცა იყო პროდუქციის მთელ ამ სახეობათა წარმოების ზრდა 1957 წელთან შედარებით.

მრეწველობის ძირითად სახეობათა პროდუქციის წარმოება 1958 წელს ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	წარმოებულია 1958 წელს	1958 წელი პროცენტობით 1957 წელთან შედარებით
თუჯი — მილიონობით ტონა	39,6	107
ფოლადი — მილიონობით ტონა	54,9	107
ნაგლინი — მილიონობით ტონა	42,9	107
ფოლადის მილები — მილიონობით ტონა	4,6	110
კოქსი — მილიონობით ტონა	50,9	105
რკინის მადანი — მილიონობით ტონა	88,8	105
ქვანახშირი — მილიონობით ტონა	496	107
აქედან საკოქსავი ქვანახშირი	94	108
ფიქალები — მილიონობით ტონა	13,2	107
ნავთობი — მილიონობით ტონა	113	115
გაზი — მილიარდობით კუბური მეტრი	29,8	148
ელექტროენერგია — მილიარდობით კილოვატსაათი	233	111
მინერალური სასუქები — მილიონობით ტონა	12,4	105
გოგირდმჟავა — მილიონობით ტონა	4,8	105
ავტომობილების საბური — მილიონობით ცალი	14,4	113
ეთილის სპირტი — მილიონობით დეკალიტრი	163	104
მეტალურგიული მოწყობილობა — ათასობით ტონა	173	103
ქიმიური მოწყობილობა — მილიარდობით მანეთისა	1,1	112
ნავთობაპარატურა — ათასობით ტონა	72,7	121
ტურბინები — მილიონობით კილოვატი	6,6	123
ტურბინების გენერატორები — მილიონობით კილოვატი	5,2	93
დიდი ელექტრომანქანები — ათასობით ცალი	5,8	120
ელექტროძრავები 100 კილოვატზე მეტი სიმძლავრისა — ათასობით ცალი	16,3	114
ელექტროძრავები 100 კილოვატამდე სიმძლავრისა — მილიონობით ცალი	2,2	110
ელექტროვაკუუმიანი ხელსაწყოები — მილიონობით ცალი	110	112
ლითონსაჭრელი ჩარხები — ათასობით ცალი	138	106
სამჭედლო-საწნეხი მანქანები — ათასობით ცალი	24,6	108
ავტომობილები — ათასობით ცალი	511	103
აქედან:		
სატვირთო ავტომობილები და ავტობუსები	389	102
მსუბუქი ავტომობილები	122	108
ბურთულა საკისარები და გორგოლაჭოვანი საკისარები — მილიონობით ცალი	325	110
ტრაქტორები — ათასობით ცალი (ფიზიკური ერთეული)	220	108
ტრაქტორის გუთნები — ათასობით ცალი	164	128
მათ შორის კიდული	111	199
ტრაქტორის სათესი მანქანები — ათასობით ცალი	218	78

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

თვითეული მოქალაქის მოვალეობაა გაიაროს აღწერა

★ ★

მნიშვნელოვანი მოვლენა

ორგანიზებულად, კარგად...

— მობრძანდით, მობრძანდით!

გულთბილად ეპატიჟება ყველა ოჯახი გორის ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტს აღმწერ თამარ ჟღენტს.

დიდი ნდობა გამოუცხადეს თამარს. სტუდენტმა გოგონამაც კარგად იცის ამ ნდობის ფასი და დინჯად ექცევა, ფრთხილობს შეცდომა არ დაუშვას.

— რამდენი ოჯახი ცხოვრობს ბინაში?

— 14-15 იანვარს ღამით მუდმივ მცხოვრებთაგან წასული იყო ვინმე, ან სტუმარი ჰყავდა ოჯახს?

საადგილმამულო ფურცლის შევსებამდე არკვევს ამას აღმწერი ჟღენტი და შემდეგ კი საადგილმამულო ფურცელში კითხვებზე ზუსტ პასუხს წერს.

ჰავეჰავაძის ქუჩის მცხოვრებთა — ჯაბაურისა და მაისურაძის ოჯახების აღწერა თამარმა ამ ოჯახების წევრთა სამუშაოზე წასვლამდე მოასწრო. ინსტრუქტორ-კონტროლიორმა შეამოწმა მისი ნამუშევარი. ყველაფერი რიგზე აღმოჩნდა.

— თამარ ჟღენტის მაგალითი ერთეული როდია, — გვეუბნება სტატისტიკური სამმართველოს ქალაქ გორისა და გორის რაიონის ინსპექტორი ელენე მეშვილდიშვილი, — გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს სამოცდათხუთმეტი აღმწერი ქალაქსა და რაიონის სოფლებში ორგანიზებულად შეუდგა მუშაობას. დავალებული გვქონდა აგრეთვე თბილისი-ფოთის მატარებლის მგზავრების აღწერა. დავალება შესრულებულია.

ქალაქსა და რაიონში შექმნილია 6 საადგილმამულო განყოფილება, რომლებშიც სისტემატური მორიგეობაა. განყოფილებებში მოდის ცნობები სოფლებიდან ქვახვრელიდან და ზეღდულეთიდან, ხიდისთავიდან და ტყვიავიდან, კარალეთიდან და მეჯვრისხევიდან, რომ აღწერა ორგანიზებულად, კარგად მიმდინარეობს. (საკ. კორ.).

სოხუმი. (საკ. კორ.). აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებში 1.500-ზე მეტი ინსტრუქტორი, კონტროლიორი და აღმწერი აწარმოებს მოსახლეობის აღწერას. სოხუმისა და გულრიფშის რაიონების მაღალმთიან სოფლებში ფსხუსა და აჟარაში, როგორც ძნელმისასვლელ ადგილებში, აღწერა წინასწარ მოეწყო.

ორგანიზებულად და ჰაპავა, პ. გვაძაბია, ა. ჩაბრავა და სხვები დილადრიან იწყებენ საადგილმამულო ფურცლების შევსებას.

სოხუმ-თბილისის, სოხუმ-მოსკოვის, თბილისი-როსტოვის მატარებლების მომსახურებისათვის გამოყოფილ იქნენ ინსტრუქტორები, კონტროლიორები და აღმწერები.

თბილისის კალინინის რაიონის მეორე საადგილმამულო განყოფილების აღმწერი გ. ლლონტი (მარჯვნივ) ინსტრუქტორ-კონტროლიორ კ. სულუხიასთან ერთად აწარმოებს აღწერას მუშა ირაკლი ხელაძის ოჯახში (დავითაშვილის ქ. № 12).

ფოტო გ. გოგოხიასი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მინგეჩაურჰეს-თბილისის 220 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით

მინგეჩაურჰეს-თბილისის 220 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით მშენებლობის ის მონაწილენი, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი:

1. **ალექსიძე** ოთარი ივანეს-ძე — ტრესტ „კავკასელექტროსელმშენის“ ლითონის კონსტრუქციების ქარხნის ზეინკალი-ამწყობი,
2. **ბოკერია** შალვა ივანეს-ძე — ტრესტ „კავკასელექტროსელმშენის“ მოწყობილობის განყოფილების უფროსი,
3. **ბორჩხაძე** ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე — ტრესტ „კავკასელექტროსელმშენის“ ლითონის კონსტრუქციების ქარხნის დირექტორი,
4. **გოგუაძე** ლევან არსენის-ძე — № 1 მექანიზებული კოლონის მთავარი ინჟინერი,
5. **გუსეინოვი** ტელმან საფარ ოღლი — № 5 სამონტაჟო უბნის ელექტრომონტიორი — მაღლამსვლელი,
6. **დოლგოვი** აღექსი პეტრეს-ძე — ტრესტ „კავკასელექტროსელმშენის“ ატკ-ს ავტოამწეს მძღოლი,
7. **იმნაიშვილი** აღექსანდრე შალვას-ძე — № 8 მექანიზებული კოლონის უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი,
8. **იორამაშვილი** მიხეილ გიორგის-ძე — № 8 მექანიზებული კოლონის ტრაქტორისტი,
9. **კემულარია** ილია მიხეილის-ძე — „საქენერგოპროექტის“ უფროსი,
10. **კობახიძე** დიმიტრი გრიგოლის-ძე — „საქენერგოპროექტის“ საპროექტო ჯგუფის ხელმძღვანელი,
11. **კუდუხოვი** გრიგოლ დიმიტრის-ძე — ხაზის ელექტრომონტიორი — მაღლამსვლელი,
12. **ლეკიშვილი** ვასილ სპირიდონის-ძე — „საქენერგოს“ ცენტრალური ლაბორატორიის უფროსი ინჟინერი,
13. **მალჩევსკი** ვასილ ივანეს-ძე — № 8 მექანიზებული კოლონის მეექსკავატორე,
14. **მამნიაშვილი** აღექსანდრე ბაგრატის-ძე — ტრესტ „კავკასელექტროსელმშენის“ ატკ-ს ტრაქტორისტი,
15. **მიქაბერიძე** აღექსანდრე სერგის-ძე — ტრესტ „კავკასელექტროსელმშენის“ მმართველი,
16. **ნაროზნიკოვი** კონსტანტინე გრიგოლის-ძე — № 4 სამონტაჟო უბნის ბრიგადირი,
17. **საფაროვი** ჯულინუდ ასლანის-ძე — № 5 სამონტაჟო უბნის უფროსი,
18. **სოლდაძე** იაკობ იპოლიტეს-ძე — ტრესტ „კავკასელექტროსელმშენის“ ლითონის კონსტრუქციების ქარხნის ზეინკალი-ამწყობი,
19. **სტეფანენკო** ვლადიმერ დიმიტრის-ძე — № 4 სამონტაჟო უბნის ბრიგადირი,
20. **სუხიაშვილი** შოთა აღექსანდრეს-ძე — ტრესტ „კავკასელექტროსელმშენის“ ატკ-ს მანქანის მძღოლი,
21. **ტრეშჩევი** ნიკოლოზ პანტელეის-ძე — ქვესადგურ „დიდი ნავთლუღის“ უფროსი ოსტატი,
22. **შანავა** ლიუსენ გრიგოლის-ძე — № 1 მექანიზებული კოლონის ელექტრომონტაჟისტთა ბრიგადირი,
23. **წერეთელი** გიორგი სიმონის-ძე — № 1 მექანიზებული კოლონის უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი,
24. **წულუკიძე** გრიგოლ კონსტანტინეს-ძე — № 4 სამონტაჟო უბნის მთავარი ინჟინერი,
25. **ხაჩიძე** სერგი მიხეილის-ძე — № 4 სამონტაჟო უბნის ელექტრომონტაჟისტთა ბრიგადირი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 1959 წ. 16 იანვარი.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

(გაგრძელება)

	წარმოებული 1958 წელს	1958 წელი პროცენტებით 1957 წელთან შედარებით
მათ შორის კიდული	52	273
ტრაქტორის კულტივატორები — ათასობით ცალი	177	85
მათ შორის კიდული	132,5	130
ტრაქტორის სათბი მანქანები — ათასობით ცალი	73,5	159
მაი შორის საკიდი	26	150
მარცვლეულის კომბაინები — ათასობით ცალი	65	50
ჭარხლის ასაღები კომბაინები — ათასობით ცალი	7,3	85
სიმინდის ასაღები კომბაინები — ათასობით ცალი	6,1	19
სასელოსე კულტურების ასაღები კომბაინები — ათასობით ცალი	38	69
მარცვალსაწმენდი მანქანები — ათასობით ცალი	12	121
სამაგისტრალო თბომავლები — ცალობით	712	178
სამაგისტრალო ელექტრომავლები — ცალობით	344	127
სამაგისტრალო სატვირთო ვაგონები — ათასობით ცალი	40,3	105
სამგზავრო სამაგისტრალო ვაგონები — ათასობით ცალი	1,8	96
ტროლეიბუსები — ცალობით	475	105
ექსკავატორები — ათასობით ცალი	10,2	107
ავტოგრეიდერები — ათასობით ცალი	2,7	129
საქსოვი დაზგები — ათასობით ცალი	14,4	99,8
სამასალე მერქნის გამოზიდვა (კოლმეურნეობების მიერ გამოზიდვის გარდა) — მილიონობით კუბური მეტრი	235	106
ქაღალდი — მილიონობით ტონა	2,2	105
ცემენტი — მილიონობით ტონა	33,3	115
შიფერი — მილიონობით პირობითი ფილა	2.393	111
ფანჯრის მინა — მილიონობით კვადრატული მეტრი	133	110
რბილი სახურავი — მილიონობით კვადრატული მეტრი	647	111
აგური (კოლმეურნეობების მიერ წარმოებულის გარდა) — მილიარდობით ცალი	28	115
დიდი ბეტონისა და სილიკატის საკედლე ბლოკები — მილიარდობით ცალი პირობითი აგური	0,9	160
ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები — მილიონობით კუბური მეტრი ნაკეთობა	18	131
სტანდარტული სახლები და ადგილობრივი საშენი მასალის კედლებიანი სტანდარტული და ტიპობრივი სახლების დეტალების კომპლექტები — მილიონობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი	9,5	124
ხელოვნური და სინთეზური ბოჭკო — ათასობით ტონა	166	112
ბამბის ქსოვილები — მილიარდობით მეტრი	5,8	104
შალის ქსოვილები — მილიონობით მეტრი	303	107
სელის ქსოვილები — მილიონობით მეტრი	481	113
აბრეშუმის ქსოვილები — მილიონობით მეტრი	845	105
წინდები — მილიონობით წყვილი	887	105
სასაცვლე ტრიკოტაჟი — მილიონობით ცალი	398	106
ზედა ტრიკოტაჟი — მილიონობით ცალი	97	108
ტყავის ფეხსაცმელი — მილიონობით წყვილი	356	112
მოთელილი ფეხსაცმელი — მილიონობით წყვილი	28	108
ყველა სახეობის საათი — მილიონობით ცალი	25	105
ფოტოაპარატები — მილიონობით ცალი	1,5	111
რადიომიმღებები — მილიონობით ცალი	3,9	110
ტელევიზორები — მილიონობით ცალი	1,0	138
საყოფაცხოვრებო მაცივრები — ათასობით ცალი	360	116
საყოფაცხოვრებო სარეცხი მანქანები — ათასობით ცალი	538	143
საყოფაცხოვრებო საკერავი მანქანები — მილიონობით ცალი	2,7	118
მოტოციკლები და მოტოროლერები — ათასობით ცალი	400	119
გელოსიპედები და მოტოველოსიპედები — მილიონობით ცალი	3,7	110
პიანინოები და როიალები — ათასობით ცალი	66,6	120
ავეჯი (გარდა ლითონის საწოლებისა) — მილიარდობით მანეთისა	7,6	123
ლითონის საწოლები — მილიონობით ცალი	12,2	109
ხორცი (კოლმეურნეობათა წარმოებისა და მოსახლეობის საოჯახო წარმოების გარდა) — მილიონობით ტონა	3,4	108
ძეხვეული — მილიონობით ტონა	1,0	109
თევზი — მილიონობით ტონა	2,9	106
კარაქი (კოლმეურნეობების მიერ წარმოებულისა და მოსახლეობის მიერ შინ წარმოებულის გარდა) — ათასობით ტონა	647	104
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით — მილიონობით ტონა	6,0	116
შაქარი ფხვნილი — მილიონობით ტონა	5,4	121
საკონდიტრო ნაწარმი — მილიონობით ტონა	1,7	106
მაკარონის ნაწარმი — ათასობით ტონა	950	99,2
მცენარეული ზეთი (კოლმეურნეობების მიერ წარმოებულისა და მოსახლეობის მიერ შინ წარმოებულის გარდა) — მილიონობით ტონა	1,4	85
კონსერვები — მილიარდობით პირობითი ქილა	4,1	107
ყურძნის ღვინო (კოლმეურნეობების მიერ წარმოებულის გარდა) — მილიონობით დეკალიტრი	46,5	107
შამპანური — მილიონობით ბოთლი	33	108
ჩაი — ათასობით ტონა	58	106
სპირტი — მილიონობით ტონა	1,4	101
პაპიროსი — მილიარდობით ცალი	232	108

1958 წელს აგრეთვე გადიდდა ფერადი ლითონების, სპილენძის, ტყვიის, თუთიის, ალუმინის, მოლიბდენის პროდუქციის, მაგნიუმის, კობალტის, კალის, ნიკელის, ტიტანის წარმოება, ნავთობპროდუქტების, სინთეზური კაუჩუკისა და ამიაკის, კაუსტიკური და კალცინირებული სოდის, საღებრებისა და სხვა სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოება.

1958 წელს შემცირდა ზოგიერთ სახეობათა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და კომბაინების წარმოების მოცულობა. ეს გამოიწვია მათი წარმოების გარდაქმნამ იმასთან დაკავშირებით, რომ დაჩქარებით შეიქმნა ახალი, უფრო მწარმოებლური და ნაკლებ ლითონტევადი სასოფლო-სამეურნეო მანქანები და კომბაინები, შემოღებულ იქნა კიდული მოწყობილობის გამოშვება, აგრეთვე მისაბმელი მარცვლეული კომბაინების პარკი გადაკეთდა თვითმავალ კომბაინებად. მცენარეული ზეთის წარმოების შემცირება 1958 წელს იმან განაპირობა, რომ წინა 1957 წელს არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების გამო შემცირდა მზესუმზირას თესლის მოსავალი. 1958 წელს მზესუმზირას თესლის კარგი მოსავალი საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავადიდოთ მცენარეული ზეთის წარმოება 1959 წელს.

სამრეწველო საწარმოებმა, სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებმა 1958 წელს შექმნეს 1.600-ზე მეტი ახალი უმნიშვნელოვანესი ტიპის მანქანები, მექანიზმები, აპარატები და სხვა მოწყობილობა. ათვისებულია 400-მდე სახელწოდების უმნიშვნელოვანეს ახალ სახეობათა მანქანების, მოწყობილობის, ხელსაწყოებისა და მასალების სერიული წარმოება. საწარმოებში დაინერგა დაახლოებით 150 ავტომატური და ნახევრადავტომატური ხაზი. გრძელდებოდა პროგრესული ტექნოლოგიისა და უფრო სრულყოფილი დიდმწარმოებლური მოწყობილობის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ათვისება და დანერგვა, ხორციელდებოდა მოქმედი მოწყობილობის მოდერნიზაცია. მაგრამ მთელმა რიგმა სამრეწველო საწარმოებმა და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებმა მთლიანად ვერ შეასრულეს მრეწველობის ახალ სახეობათა პროდუქციის წარმოების ათვისების, სახალხო მეურნეობისათვის ახალი დიდმწარმოებლური მანქანებისა და მოწყობილობის კონსტრუქციების დამუშავების გეგმა.

გაუმჯობესდა მოქმედ სიმძლავრეთა გამოყენება მრეწველობაში. შავი მეტალურგიის საწარმოებში ბრძმედების მარგი მოცულობის გამოყენების კოეფიციენტი 1957 წელთან შედარებით გაუმჯობესდა 2,6 პროცენტით, ხოლო ფოლადის გადმოღება მარტენის ღუმელების ქვედის ერთ კვადრატულ მეტრ ფართობზე გადიდდა 3 პროცენტით. სიმძლავრეთა უკეთ გამოყენებით 1958 წელს მიღებული დაახლოებით ერთი მილიონი ტონა თუჯი და მილიონნახევარზე მეტი ტონა ფოლადი. მაგრამ მთელ რიგ ქარხნებში ჯერ კიდევ დიდია ბრძმედებისა და მარტენის ღუმელების მოცდენა.

ფერადი მეტალურგიის საწარმოებში გასულ წელთან შედარებით გადიდდა მადნებიდან და კონცენტრატებიდან ფერადი ლითონების ამოღება.

ნავთობის მრეწველობაში რამდენადმე გადიდდა ჰაბურღილების ბურღვის სიჩქარე.

ქვანახშირის შახტებში მექანიზებულ სამუშაოთა მოცულობა გასულ წელს 1957 წელთან შედარებით გადიდდა: დაქანებული და დახრილი ვარდნის ფენებზე ლავებში ქვანახშირის ტვირთვაში 16 პროცენტით და ქვანახშირისა და ქანის დატვირთვაში ძირითადი ჰორიზონტული მოსამზადებელი გვირაბების გაყვანისას 8 პროცენტით. გადიდდა სანგრევების მოქმედი ასაწმენდი ხაზების საშუალო თვიური წაწევა, მაგრამ გეგმის დავალება რამდენადმე უკმარშესრულებელია. ქვანახშირის შახტებში ჯერ კიდევ სუსტად ინერგებოდა კომპლექსური მექანიზაცია, ჭერის გამაგრებისა და მართვის, ასაწმენდ სანგრევებში კონვეიერების გადაადგილების მექანიზაცია.

რაიონულ ელექტროსადგურებში პირობითი სათბობის ხვედრითი ხარჯი გასულ წელთან შედარებით შემცირდა 3 პროცენტით.

ქიმიური მრეწველობის საწარმოები ითვისებდნენ ახალ სახეობათა მაღალმოლეკულური ფისების, პლასტიკური მასების, სინთეზური ბოჭკოების, საღებრებისა და კაუჩუკების, სოფლის მეურნეობისათვის მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების წარმოებას.

გაუმჯობესდა ცემენტის მრეწველობის ძირითადი ტექნოლოგიური მოწყობილობის გამოყენება 1957 წელთან შედარებით, მაგრამ მთელ რიგ ქარხნებში ჯერ კიდევ დიდია ღუმელებისა და წისქვილების მოცდენა, არის მოწყობილობის მწარმოებლურობაში საგეგმო დავალების უკმარშესრულება.

მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოები იარაღდებოდნენ ახალი დიდმწარმოებლური მანქანებითა და მოწყობილობით. საფეიქრო მრეწველობაში ინერგებოდა მაღალი გამოჭიმვის მცირეგაბარიტიანი სართავი მანქანები, ახალი მარკების ავტომატური საქსოვი დაზგები, ახალი ტექნოლოგიური პროცესები ქსოვილების გამოყვანასა და ღებვაში უფრო მკვიდრი საღებრების გამოყენებით, სამკერვალო მრეწველობის მექანიზაცია ხორციელდებოდა სპეციალური საკერავი მანქანების, პნევმატური წნეხების დანერგვის გზით. ტრიკოტაჟის მრეწველობის საწარმოები იარაღდებოდნენ დიდმწარმოებლური მანქანებითა და ავტომატებით.

გასულ წელს სახალხო მეურნეობის საბჭოებმა განახორციელეს წარმოების სპეციალიზაციის განვითარებისა და რაციონალური კოოპერირებული კავშირის გაფართოების მთელი რიგი ღონისძიებანი, როგორც ეკონომიურ რაიონებში, ისე რაიონებს შორის.

1958 წელს მილიონნახევარზე მეტმა გამომგონებელმა და რაციონალიზატორმა შემოიტანა 2 მილიონ 700 ათასზე მეტი წინადადება. სახალხო მეურნეობაში დანერგილია მილიონ ექვსას ათასზე მეტი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება. გასულ წელს ეკონომიამ წინადადებათა დანერგვისაგან შეადგინა ერთ წელზე გაანგარიშებით 8,5 მილიარდ მანეთზე მეტი.

1958 წლისათვის დაწესებული მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და მანეთის სასაქონლო პროდუქციაზე ხარჯის დონის გეგმა გადაჭარბებით შესრულებულია როგორც მთლიანად სსრ კავშირში, ისე ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. მთელი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით ზეგეგმითმა ეკონომიამ 1958 წელს შეადგინა 10 მილიარდ მანეთზე მეტი. მრეწველობის შესადარი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებამ, შესადარ ფასებში, შარშანდელთან შედარებით, წინასწარი მონაცემებით, შეადგინა 3 პროცენტზე მეტი. მაგრამ მრეწველობის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის თვითღირებულება ზოგიერთ საწარმოში კვლავ მაღალია, მაშინ როცა მოწინავე საწარმოებში ასეთივე ნაწარმის, ან თავისი სამომხმარებლო დანიშნულებით ერთნაირი ნაწარმის წარმოება მნიშვნელოვნად იაფი ჯღება.

II
სოფლის მეურნეობა

ასრულებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის და შემდგომი პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებსა და პარტიის XX ყრილობის დადგენილებებს, სოფლის მეურნეობის მშრომელებმა 1958 წელს ახალი დიდი წარმატებანი მოიპოვეს.

გასულ წელს მიღებულია მარცვლეული და სოფლის მეურნეობის სხვა კულტურების კარგი მოსავალი.

მთლიანი მოსავალი (ბუნებრივ მოსავალი) ჩვენს ქვეყანაში შეადგენს: მარცვლეულისა — 8,5 მილიარდ ფუთს, აქედან ყველაზე ძვირფასი სასურსათო კულტურის — ხორბლისა — 4,6 მილიარდ ფუთს. შაქრის ჭარხლის მთლიანი მოსავალი შეადგენს 54,1 მილიონ ტონას, ნედლი ბამბისა — 4,4 მილიონ ტონას, მზესუმზირასი — 4,5 მილიონ ტონას, კარტოფილისა — 86,1 მილიონ ტონას და ბოსტნეულისა — 14,8 მილიონ ტონას.

1957 წელთან შედარებით მარცვლეულის მთლიანი მოსავალი გადიდდა 2,1 მილიარდი ფუთით, ანუ 33 პროცენტით, ხოლო 1953 წელთან შედარებით — 3,5 მილიარდი ფუთით და 700 მილიონზე მეტი ფუთით გადააჭარბა მარცვლეულის მთლიან მოსავალს ყველაზე მოსავლიან 1956 წელს.

მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალში 1958 წელს მიღებულია სიმინდის მარცვალი სრული და რძისებრ-ცვილისებრი სამწიფისა ხმელ მარცვალზე გადაყვანით თითქმის მილიარდი ფუთი, ანუ 2,3-ჯერ მეტი, ვიდრე 1957 წელს.

მაგრამ სიმინდის ნათესთა გამოყენებაში ჯერ კიდევ დიდი ნაკლოვანებანი გვაქვს. სიმინდის ნათესთა მეტად დიდი ფართობის მოსავალს იღებენ სანამ გაჩნდებოდეს რძისებრ-ცვილისებრი სამწიფის ტარო, ესე იგი მარცვლის მიუღებლად, ხოლო სიმინდის ნათესთა მნიშვნელოვანი ნაწილი პირუტყვს მწვანე საკვებად ეძლევა.

შაქრის ჭარხალი აღებულია 14,5 მილიონი ტონით, ანუ 36 პროცენტით მეტი, ვიდრე ამ კულტურის ყველაზე მოსავლიან 1957 წელს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებით დასახული იყო ამოცანა გაგვედიდებინა 1960 წელს 1955 წელთან შედარებით შაქრის ჭარხლის წარმოება 54 პროცენტით. შაქრის ჭარხლის მთლიანი მოსავალი 1958 წელს 1955 წელთან შედარებით გადიდდა 74 პროცენტით. ამრიგად, დავალება, რომელიც დადგენილი იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებით, გადაჭარბებით შესრულდა გასულ წელს, ესე იგი დათქმულ ვადაზე ორი წლით ადრე.

მზესუმზირა მთელ ჩვენს ქვეყანაში აღებულია 1,7 მილიონი ტონით, ანუ 62 პროცენტით მეტი, ვიდრე 1957 წელს. 1957 წელთან შედარებით მეტია აღებული ნედლი ბამბა და სხვა ტექნიკური კულტურები; რამდენადმე ნაკლებია აღებული კარტოფილი და ბოსტნეული. 1958 წელს კვლავ უმჯობესდებოდა მეცხოველეობის მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში.

პირუტყვის სულადობის ზრდა ყველა კატეგორიის მეურნეობებში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით (მილიონობით სული; წლის დამლევისათვის):

	1953 წელი	1957 წელი	1958 წელი	1958 წელი პროცენტობით 1953 წელთან შედარებით	1958 წელი პროცენტობით 1957 წელთან შედარებით
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	55,8	66,8	70,8	127	106
აქედან ძროხა	25,2	31,4	33,3	132	106
ღორი	33,3	44,8	48,5	145	109
ცხვარი	99,8	120,2	129,6	130	108

უკანასკნელ ხუთ წელიწადში პირუტყვის სულადობა ყველა კატეგორიის მეურნეობებში გადიდდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა 15 მილიონი სულით, აქედან ძროხისა — 8,1 მილიონი სულით; ღორის სულადობა — 15,2 მილიონი სულით და ცხვრისა — 29,8 მილიონი სულით. გადიდდა აგრეთვე ფრინველის სულადობა. 1958 წელს 1957 წელთან შედარებით მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გადიდდა 11 პროცენტით, აქედან ძროხისა — 8 პროცენტით; ღორის სულადობა — 14 პროცენტით, ცხვრისა — 7 პროცენტით.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდა ჩვენს ქვეყანაში ჩანს შემდეგი მონაცემებით:

	1953 წელი	1957 წელი	1958 წელი	1958 წელი პროცენტობით 1953 წელთან შედარებით	1958 წელი პროცენტობით 1957 წელთან შედარებით
ხორცი და ჭონი (დაკლული პირუტყვის წონით) — მილიონობით ტონა	5,8	7,4	7,9	135	106
რძე — მილიონობით ტონა	36,5	54,7	57,8	158	106
მატყლი — ათასობით ტონა	235	289	321	137	111
კვერცხი — მილიარდობით ცალი	16,1	22,3	23,5	146	105

ხორცის წარმოება (დაკლული პირუტყვის წონით) ჩვენს ქვეყანაში მთლიანად 1958 წელს 1953 წელთან შედარებით გადიდდა 2 მილიონ 100 ათასი ტონით. რძე — 21 მილიონ 300 ათასი ტონით, მატყლი — 86 ათასი ტონით, კვერცხი — 7 მილიარდ 400 მილიონი ცალით.

ხორცის წარმოება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1958 წელს 1957 წელთან შედარებით გადიდდა 8 პროცენტით; რძისა — 9 პროცენტით, მატყლისა — 10 პროცენტით და კვერცხისა — 10 პროცენტით.

რძის საერთო წარმოებით სსრ კავშირი 1958 წელს დაეწია ამერიკის შეერთებულ შტატებს, ხოლო ქარხნებში და შინ გამომუშავებული კარაქის საერთო წარმოებით ამერიკის შეერთებულ შტატებს გაუსწრო ჯერ კიდევ 1957 წელს.

გასულ წელს კიდევ უფრო განმტკიცდა მეცხოველეობის საკვები ბაზა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩადებულია 148 მილიონი ტონა სილოსი, აქედან 108 მილიონი ტონა სიმინდის სილოსი. 1957 წელთან შედარებით სილოსი ჩადებულია 64 პროცენტით მეტი, ამასთან სიმინდის სილოსი ჩადებულია ორჯერ მეტი, ვიდრე 1957 წელს, დამზადებულია კონცენტრირებული და უხეში საკვები.

მიუხედავად იმისა, რომ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება მნიშვნელოვნად გადიდდა მთლიანად ჩვენს ქვეყანაში, მთელ რიგ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის გამოყენებული პირუტყვის სულადობის და ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების უფრო სწრაფი ზრდის შესაძლებლობანი. სუსტად იყენებენ არსებულ შესაძლებლობას მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საძოვარზე და ბაგაზე გასუქებისა და მეფრინველეობის განვითარებისათვის.

1958 წელს ვადამდე დიდი გადაჭარბებით შესრულდა მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, რძის, ხორცის, მატყლისა და სხვა პროდუქტების დამზადების გეგმა.

1958 წლის მოსავლის მარცვლეულის სახელმწიფო დამზადებამ 3,5 მილიარდი ფუთი შეადგინა და 1957 წელთან შედარებით გადიდდა 1,3 მილიარდი ფუთით, ანუ 62 პროცენტით. 1958 წლის მოსავლის მარცვლეულის დამზადების სახელმწიფო გეგმა შესრულებულია 116 პროცენტით, შაქრის ჭარხლისა — 133 პროცენტით, მზესუმზირასი — 111 პროცენტით.

ხორცის სახელმწიფო დამზადებამ (დაკლული პირუტყვის წონით) შეადგინა 5,6 მილიონი ტონა, რძისამ — 22,1 მილიონი ტონა და კვერცხისამ — 4,5 მილიარდი ცალი. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1958 წელს გადიდეს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვა 9 პროცენტით, რძისა და მატყლისა — 13 პროცენტით, კვერცხისა — 15 პროცენტით. მეცხოველეობის პროდუქტების საერთო დამზადებაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხვედრითმა წონამ 1958 წელს შეადგინა: ხორცისამ — 84 პროცენტი, რძისამ — 89 პროცენტი, კვერცხისამ — 57 პროცენტი და მატყლისამ — 90 პროცენტი.

შარშან მნიშვნელოვანი მუშაობა შესრულდა საბჭოთა მეურნეობების შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის. შექმნილია დაახლოებით 150 ახალი საბჭოთა მეურნეობა და 1959 წლის 1 იანვრისათვის ჩვენს ქვეყანაში იყო 6 ათასი საბჭოთა მეურნეობა. 1958 წელს საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩაბარეს 1 მილიარდ 371 მილიონი ფუთი პური, 5 მილიონი ტონა რძე, 1 მილიონ 275 ათასი ტონა ხორცი (დაკლული პირუტყვის წონით) და ბევრი სხვა პროდუქტი. საბჭოთა მეურნეობების ხვედრითმა წონამ მარცვლეულის სახელმწიფო დამზადებაში შეადგინა დაახლოებით 40 პროცენტი, ხორცისა და რძის დამზადებაში — 23 პროცენტი ამ პროდუქტების მთელი სახელმწიფო დამზადებისა.

მაგრამ ბევრი საბჭოთა მეურნეობა ჯერ კიდევ ვერ იყენებს მარცვლეულის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების გაადიდებლად იმ შესაძლებლობას, რაც მათ მოეპოვებათ, იღებენ საკვები კულტურების დაბალ მოსავალს; სოფლის მეურნეობის პროდუქტების, განსაკუთრებით მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების თვითღირებულება ჯერ კიდევ მაღალია.

1958 წელს განხორციელდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია. 1958 წლის დამლევისათვის კოლმეურნეობათა 83 პროცენტზე მეტმა შეიძინა მტს-ებში ტექნიკა. კოლმეურნეობებმა სულ შეისყიდეს 482 ათასი ტრაქტორი, ანუ იმ რაოდენობის 79 პროცენტი, რაც მტს-ებს ჰქონდათ 1958 წლის 1 იანვრისათვის, 215 ათასი მარცვლეულის კომბაინი, ანუ 67 პროცენტი და ბევრი სხვა მანქანა. მინდვრის სამუშაოთა პერიოდში კოლმეურნეობებმა თავიანთი ტრაქტორებით შეასრულეს მთელ იმ სატრაქტორო სამუშაოთა 73 პროცენტი, ხოლო ივლის-ოქტომბერში დაახლოებით 85 პროცენტი, რომლებიც ერთად შეასრულეს სარემონტო-ტექნიკურმა სადგურებმა, მტს-ებმა და კოლმეურნეობებმა.

1958 წელს გრძელდებოდა სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცება. სოფლის მეურნეობამ მიიღო 245 ათასი ტრაქტორი (15 ძალიანზე გადაანგარიშებით), 104 ათასი სატვირთო ავტომობილი, 64 ათასი მარცვლეულის კომბაინი, 87 ათასი მწკრივად სამკალი მანქანა, 91 ათასი მარცვლეულის კომბაინის შემგროვებელი მარცვლეული კულტურების ცალცალკე ასაღებად, 6 ათასი სიმინდის ასაღები კომბაინი, 36 ათასი სასელოსე კულტურების ასაღები კომბაინი, 159 ათასი ტრაქტორის გუთანი, მათ შორის 108 ათასი კიდული, 212 ათასი ტრაქტორის სათესი მანქანა, მათ შორის 47 ათასი კიდული, 167 ათასი ტრაქტორის კულტივატორი, მათ შორის 123 ათასი კიდული, 71 ათასი ტრაქტორის სათბი მანქანა, მათ შორის 23 ათასი კიდული, 11 ათასი ტრაქტორის ფოცხი, 9 ათასზე მეტი მარცვალსახმობი, 12 ათასი მარცვალსაწმენდი მანქანა და ბევრი სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა და მოწყობილობა. სოფლის მეურნეობამ მიიღო აგრეთვე მნიშვნელოვანი რაოდენობის მინერალური სასუქი.

III
ტრანსპორტი

რკინიგზის ტრანსპორტმა ვადამდე შეასრულა ტვირთზიდვისა და ტვირთბრუნვის წლიური გეგმა

1957 წელთან შედარებით რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა გადიდდა 7 პროცენტით და შეადგინა 1.295 მილიარდი ტონა-კილომეტრი. ყველა ტვირთის გადაზიდვის გეგმა შესრულებულია 104 პროცენტით. მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა ქვანახშირის, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, შავი ლითონების, მადნის, ხეტყის ტვირთის, ცემენტის, მინერალური სასუქის გადაზიდვის გეგმა.

ელექტროფიცირებული რკინიგზის ხაზებისა და იმ ხაზების სიგრძემ, რომლებზეც განხორციელებულია თბომავლის წევა, გასული წლის დამლევისათვის 20 ათას კილომეტრზე მეტი შეადგინა. რკინიგზების მოძრავი შემადგენლობა შეივსო ახალი ელექტრომავლებით, თბომავლებით და დიდტვირთიანი ვაგონებით. ელექტრომავლებითა და თბომავლებით ტვირთის გადაზიდვა გაიზარდა 1957 წელთან შედარებით დაახლოებით 37 პროცენტით. ელექტრომავლებითა და თბომავლებით ტვირთის გადაზიდვის წილი რკინიგზების საერთო ტვირთბრუნვაში გადიდდა 1957 წლის 21 პროცენტიდან 26 პროცენტამდე 1958 წელს.

შესრულებულია დავალებანი რკინიგზის ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის გამოყენების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით — სატვირთო ვაგონის ბრუნვის დროის შემცირების, ტექნიკურ სადგურებში ვაგონების მოცდენის დროის შემცირების, სატვირთო მატარებლის წონის გადიდების მაჩვენებლების მიხედვით.

საზღვაო ტრანსპორტმა შეასრულა ტვირთის გადაზიდვისა და ტვირთბრუნვის წლიური გეგმა. ტვირთის გადაზიდვა ყველა სახეობის ნაოსნობაში 1957 წელთან შედარებით გადიდდა 8 პროცენტით, ხოლო ტვირთბრუნვა — 14 პროცენტით. შესრულებულია მშრალი ტვირთისა და ნავთობსასხმელი ფლოტის მწარმოებლურობის წლიური დავალება. ამასთანავე საზღვაო მშრალი ტვირთის გემების არამწარმოებლური მოცდენა გადიდდა 1957 წელთან შედარებით.

საერთო სარგებლობის **სამდინარო ტრანსპორტმა** ტვირთბრუნვის წლიური გეგმა შეასრულა 104 პროცენტით და ტვირთის გადაზიდვისა — 107 პროცენტით. სამდინარო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა და ტვირთის გადაზიდვა მეტი იყო, ვიდრე 1957 წელს, 12 პროცენტით.

სამაგისტრალო ნავთობსადენი ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 1957 წელთან შედარებით 27 პროცენტით გადიდდა და ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადატუმბვა — 17 პროცენტით.

საერთო სარგებლობის **საავტომობილო ტრანსპორტმა** გადაჭარბებით შეასრულა ტვირთბრუნვისა და ტვირთის გადაზიდვის წლიური გეგმა. საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა 1957 წელთან შედარებით გადიდდა 20 პროცენტით და ტვირთის გადაზიდვა — 26 პროცენტით. მაგრამ სატვირთო ავტომობილების მოცდენა და ცარიელი სვლა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია. მგზავრთა გადაყვანის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, მგზავრთა გადაყვანა 1957 წელთან შედარებით 23 პროცენტით გადიდდა.

საჰაერო ტრანსპორტმა ტვირთზიდვის საერთო გეგმა შეასრულა 103 პროცენტით, აქედან მგზავრთა გადაყვანისა — 117 პროცენტით. 1957 წელთან შედარებით გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა გადიდდა 56 პროცენტით. სამოქალაქო საჰაერო ფლოტის თვითმფრინავთა პარკი 1958 წელს შეივსო რეაქტიული მრავალადგილიანი თვითმფრინავებით, რომლებიც რეგულარულ ფრენას აწარმოებენ საშინაო და საერთაშორისო საჰაერო ხაზებზე.

IV
კაპიტალური მშენებლობა

სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების (გარდა კოლმეურნეობებისა) კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობამ 1958 წელს შეადგინა 225 მილიარდი მანეთი და 11 პროცენტით გადააჭარბა 1957 წლის კაპიტალურ დაბანდებას. კაპიტალურ დაბანდებათა სახელმწიფო გეგმა 1958 წელს შესრულებულია 97 პროცენტით. ამასთან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით, ხოლო მოწყობილობისათვის დანახარჯებმა შეადგინა გეგმის 92 პროცენტი.

კაპიტალურ დაბანდებათა ზრდა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისადმი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 1958 წელს პროცენტობით 1957 წელთან შედარებით

რუსეთის სფსრ	111
უკრაინის სსრ	105
ბელორუსიის სსრ	110
უზბეკეთის სსრ	120
ყაზახეთის სსრ	109
საქართველოს სსრ	117
აზერბაიჯანის სსრ	120
ლიტვის სსრ	118
მოლდავეთის სსრ	111
ლატვიის სსრ	117
ყირგიზეთის სსრ	116
ტაჯიკეთის სსრ	119
სომხეთის სსრ	120
თურქმენეთის სსრ	120
ესტონეთის სსრ	112

კაპიტალური დაბანდებანი გაიზარდა 1957 წელთან შედარებით მეტალურგიულ მრეწველობაში 21 პროცენტით, ქიმიურ მრეწველობაში — 39 პროცენტით, ნავთობის მრეწველობაში — 15 პროცენტით, გაზის მრეწველობაში — 48 პროცენტით, ელექტროსადგურთა მშენებლობაში — 5 პროცენტით, საშენ მასალათა მრეწველობაში — 25 პროცენტით, ხე-ტყის, ქაღალდისა და ხის დასამუშავებელ მრეწველობაში — 2 პროცენტით, მსუბუქ და კვების მრეწველობაში — 16 პროცენტით, საბინაო მშენებლობაში — 11 პროცენტით. დიდი მოცულობით განახორციელეს კაპიტალური დაბანდებანი აგრეთვე კოლმეურნეობებმა.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1958 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

(დასასრული)

გასულ წელს ამუშავდა 800-ზე მეტი ახალი მსხვილი სახელმწიფო სამრეწველო საწარმო.

სახალხო-სამეურნეო გეგმით დასახული იყო ამოცანა 1958 წელს აგვეშენებინა 7 ახალი ბრძმედი, რომლებიც უზრუნველყოფდნენ წელიწადში 4 მილიონ ნახევარ ტონაზე მეტი თუჯის გამოშვებას. ეს დავალება წარმატებით შესრულდა. აშენდა 4,9 მილიონი ტონა თუჯის საერთო სიმძლავრის შვიდი ბრძმედი, მათ შორის ბრძმედები ჩელიაბინსკის მეტალურგიულ ქარხანაში და ქარხანა „კრივოროჟსტალში“, რომელთაგან თითოეულის წლიური მწარმოებლურობა დაახლოებით მილიონი ტონაა. მწყობრში ჩადგა მძლავრი მარტენის ღუმელი ლუგანსკის ოლქში, მარტენის ღუმელი ორენბურგის ოლქში, ორი მარტენის ღუმელი ვოლოგდის ოლქში, ორი ელექტროფოლადსადნობი საამქრო ჩელიაბინსკის ოლქის მეტალურგიულ ქარხნებში, ბესემერის კონვერტერი დნეპროპეტროვსკის ოლქში. სტალინოს ოლქში პირველი კოქსი გამოუშვა ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდმა საკოქსე ბატარეამ. ამუშავდა მძლავრი საკოქსე ბატარიები ვოლოგდის, დნეპროპეტროვსკისა და ლუგანსკის ოლქებში.

1958 წელს მწყობრში ჩადგა მსოფლიოში უდიდესი სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის პირველი 3 აგრეგატი, მწყობრში ჩადგა ახალი ატომური ელექტროსადგურის პირველი რიგი, რომლის ელექტრული სიმძლავრეა 100 ათასი კილოვატი; ამ სადგურის სრული ელექტრული სიმძლავრე გადიდდება 600 ათას კილოვატამდე. ამუშავდა უდიდესი თბოელექტროსადგურების ტომ-უსინსკისა და სტარო-ბეშევოს თბოელექტროსადგურების პირველი აგრეგატები.

აშენდა და ამუშავდა 57 ახალი ქვანახშირის შახტი და ჭრილი.

მწყობრში ჩადგა ჩიმკენტის ჰიდროლიზის ქარხნის, პერმისა და ნოვი-გორკის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნების პირველი რიგები, აგრეთვე მოქმედი ნავთობგადასამუშავებელი ქარხნების სიმძლავრეები.

მწყობრში ჩადგა ცემენტის ქარხნები ირკუტსკის, კუიბიშევის, სემიპალატინსკის, სამხრეთ უაზახეთის ოლქებში. ამუშავდა ახალი ტექნოლოგიური ხაზები მთელ რიგ მოქმედ ცემენტის ქარხნებში. 1958 წელს ამუშავდა წელიწადში 5 მილიონი ტონა ცემენტის წარმოების ახალი სიმძლავრეები.

გადიდდა მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოო სიმძლავრენი, მწყობრში ჩადგა ფეხსაცმლის ფაბრიკა ორიოლში; ნოვო-კუბანსკის, უსტ-ლაბინსკის, გიაგინსკის შაქრის ქარხნები ყუბანში, ნურლატის შაქრის ქარხანა თათრეთის სსს რესპუბლიკაში; უკვე იძლევა პროდუქციას ახალი შაქრის ქარხნები ვოლინის, ტერნოპოლისა და ჩერნოვიცის ოლქებში; მწყობრში ჩადგა მცენარეული ზეთის ქარხნები ტაჯიკეთისა და უაზახეთის სს რესპუბლიკებში, რძის კონსერვების დიდი ქარხანა ლატვიის სს რესპუბლიკაში და დიდძალი რძის, კარაქის, ყველის, კონსერვის და პურის ქარხნები.

მაგრამ სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში მთლიანად უმარშესრულებელია საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავების გეგმა. მაგალითად შესრულებული არ არის საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავების გეგმა სამთამადნო მრეწველობაში, ცემენტის მრეწველობაში, ქვანახშირის მრეწველობაში, ქვების მრეწველობაში, აგრეთვე ტურბინიანი ელექტროსადგურების სიმძლავრეთა ამუშავების გეგმა.

1958 წელს მიმდინარეობდა სამშენებლო ინდუსტრიის შემდგომი განვითარება. მოჯარე ორგანიზაციებმა შეასრულეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა 101 პროცენტით და გააღიდეს სამუშაოთა მოცულობა 1957 წელთან შედარებით 16 პროცენტით. საკავშირო რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისადმი დაქვემდებარებული მოჯარე ორგანიზაციების მიერ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმის შესრულება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	სამშენებლო - სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	1958 წელი 1957 წელთან შედარებით პროცენტით
რუსეთის სფსრ	102	117
აქედან:		
მოსკოვის მთავარმშენი	100,6	107
მოსკოვის ოლქის მთავარმშენი	103	124
ლენინგრადის მთავარმშენი	102	112
უკრაინის სსრ	98	110
აქედან კიევის მთავარმშენი	104	115
ბელორუსიის სსრ	101	119
უზბეკეთის სსრ	98	129
უაზახეთის სსრ	93	118
საქართველოს სსრ	100	113
აზერბაიჯანის სსრ	102	117
ლიტვის სსრ	101	125
მოლდავეთის სსრ	102	123
ლატვიის სსრ	98	122
ყირგიზეთის სსრ	100,9	132
ტაჯიკეთის სსრ	100,7	123
სომხეთის სსრ	95	123
თურქმენეთის სსრ	106	124
ესტონეთის სსრ	93	121

გასულ წელს მეტი წილი სამშენებლო ორგანიზაციები რენტაბელურად მუშაობდნენ. საგეგმო დავალება მშენებლობის თვითღირებულების შემცირების შესახებ შესრულებულია; სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულება 1957 წელთან შედარებით დაახლოებით 1,5 პროცენტით შემცირდა.

V

მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი და შრომის ნაყოფიერების ზრდა

მუშა-მოსამსახურეთა საერთო წლიურმა რიცხვმა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში 1958 წელს შეადგინა 54,6 მილიონი კაცი და წლის განმავლობაში გადიდდა 1,4 მილიონი კაცით. მრეწველობაში, მშენებლობაში, საბჭოთა მეურნეობებში, ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობაში მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სხვა სპეციალისტთა რიცხვი 2 მილიონი კაცით გადიდდა. სკოლების, სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამკურნალო და სანატორიულ-საკურორტო დაწესებულებათა მუშაკების რიცხვი გადიდდა 400 ათასზე მეტი კაცით, ვაჭრობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის მუშაკთა რიცხვი — თითქმის 300 ათასი კაცით. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკთა რიცხვი შემცირდა 1 მილიონ 300 ათასი კაცით, რადგან მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით სატრაქტორო ბრიგადებს მუშებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ნაწილი კოლმეურნეობებში გადავიდა სამუშაოდ.

1958 წელს, ისევე როგორც წინა წლებში, უმუშევრობა ჩვენს ქვეყანაში არ ყოფილა.

გასულ წელს ტექნიკური სასწავლებლები, სახელოსნო, სარკინიგზო და სამთო-სამრეწველო სასწავლებლები, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები, სამშენებლო და სამთო-სამრეწველო სკოლები, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლები და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სახელოსნო სასწავლებლები დაამთავრა და მრეწველობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში სამუშაოდ გაიგზავნა დაახლოებით 650 ათასი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა. ინდივიდუალურ-ბრიგადული მოწაფეობისა და საკურსო სწავლების გზით შარშან კვალიფიკაცია აიმაღლა და ახალი პროფესიები შეიძინა 7 მილიონ 600 ათასმა მუშამ და მოსამსახურემ.

შრომისნაყოფიერების გადიდების გეგმა 1958 წელს მრეწველობასა და მშენებლობაში გადაჭარბებით შესრულდა. შრომის ნაყოფიერება 1957 წელთან შედარებით გაიზარდა მრეწველობაში 6 პროცენტით (მაშინ როცა სამუშაო დღის ხანგრძლივობა შემცირდა ქვანახშირის მრეწველობაში, შავ მეტალურგიასა და მრეწველობის ზოგიერთ სხვა დარგში) და მშენებლობაში — 9 პროცენტით.

შრომის ნაყოფიერების გეგმა მრეწველობაში გადაჭარბებით შეასრულა ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ. შრომის ნაყოფიერების ზრდა მოკავშირე რესპუბლიკების მრეწველობაში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	1958 წელი პროცენტებით 1957 წელთან შედარებით
რუსეთის სფსრ	107
უკრაინის სსრ	106
ბელორუსიის სსრ	106
უზბეკეთის სსრ	103
უაზახეთის სსრ	105
საქართველოს სსრ	107
აზერბაიჯანის სსრ	105
ლიტვის სსრ	107
მოლდავეთის სსრ	105
ლატვიის სსრ	108
ყირგიზეთის სსრ	106
ტაჯიკეთის სსრ	104
სომხეთის სსრ	106
თურქმენეთის სსრ	104
ესტონეთის სსრ	108

VI

ეროვნული შემოსავლის ზრდა და ხალხის ცხოვრების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლება

1958 წელს პარტიამ და მთავრობამ განახორციელეს მთელი რიგი დიდი ღონისძიებანი საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის. სსრ კავშირის ეროვნული შემოსავალი 1958 წელს 1957 წელთან შედარებით 9 პროცენტით გადიდდა. ეროვნული შემოსავლის ზრდამ საშუალება მოგვცა გაგვიდიდებინა მუშა-მოსამსახურეთა და გლეხთა შემოსავალი და უზრუნველგვეყო სოციალისტური წარმოების შემდგომი გაფართოება.

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილების შესაბამისად გრძელდებოდა მრეწველობის მუშა-მოსამსახურეთა შემოკლებულ სამუშაო დღეზე გადაყვანა. 1958 წელს დამთავრდა ქვანახშირის მრეწველობის, შავი მეტალურგიის, აგრეთვე ცემენტის მრეწველობის საწარმოთა და რკინაბეტონისა და ბეტონის ნაკეთობათა მეტი წილი საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა გადაყვანა შემოკლებულ სამუშაო დღეზე. ხორციელდება ფერადი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, ქიმიური, ნავთობისა და გაზის მრეწველობის და მრეწველობის სხვა დარგების მთელ რიგ სხვა საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების გადაყვანა შემოკლებულ სამუშაო დღეზე. ყველა ამ დარგში შემოკლებულ სამუშაო დღეზე გადაყვანასთან ერთად ხორციელდება მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის მოწესრიგება. შემოკლებულ სამუშაო დღეზე გადაყვანა ხორციელდება მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის შეუმცირებლად.

ისევე როგორც წინა წლებში, მოსახლეობა სახელმწიფოს ხარჯზე იღებდა დახმარებასა და სხვა თანხებს მუშა-მოსამსახურეთა სოციალური დაზღვევით, სოციალური უზრუნველყოფის პენსიებს, დახმარებას მარტოხელა და მრავალშვილიანი დედებისათვის, მოსწავლეთა სტიპენდიებს, უფასო სამედიცინო დახმარებას, უფასოდ და შეღავათიან ფასებში სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურებს, უფასო სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას და მთელ რიგ სხვა შეღავათებსა და თანხებს. გარდა ამისა, ყველა მუშამ და მოსამსახურემ ხელფასის შენარჩუნებით მიიღო შვებულება სულ ცოტა ორი კვირის ხანგრძლივობისა, ხოლო მთელ რიგ პროფესიათა მუშაკებმა — უფრო ხანგრძლივი შვებულება. სახელმწიფო პენსიების კანონის შესაბამისად მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფოს ხარჯები პენსიების გასაცემად. 1958 წელს მოსახლეობამ მიიღო პენსია 64 მილიარდი მანეთის ოდენობით.

1958 წელს მოსახლეობამ მიიღო ყველა აღნიშნული დახმარება და შეღავათი 215 მილიარდი მანეთის ოდენობით ნაცვლად 1957 წლის 202 მილიარდი მანეთისა.

კოლმეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდასა და მისი საქონლურობის გადიდებასთან დაკავშირებით, აგრეთვე საკალდებულო ჩაბარებისა და მტს-ების მუშაობისათვის ნატურანაზღაურების გაუქმებასთან და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ერთიანი შესასყიდი ფასების დაწესებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გადიდდა კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ფულადი შემოსავალი. **1958 წელს კოლმეურნეობათა ფულადმა შემოსავალმა შეადგინა 130 მილიარდ მანეთზე მეტი და 1957 წელთან შედარებით გადიდდა დაახლოებით 36 მილიარდი მანეთით, ანუ 38 პროცენტით.**

გადიდდა კოლმეურნეებისათვის ფულისა და ნატურის მიცემა შრომადღეებზე კოლმეურნეობებში მუშაობისათვის.

1958 წელს მუშა-მოსამსახურეთა და გლეხთა ფულადი შემოსავლის ზრდასთან დაკავშირებით გრძელდებოდა მოსახლეობის ანაბრების გადიდება შემნახველ სალაროებში; წლის დამლევს ანაბრებმა მიაღწია 87 მილიარდ მანეთზე მეტს.

მუშა-მოსამსახურეთა ფულადი ხელფასის ზრდის, კოლმეურნეთა ფულადი და ნატურალური შემოსავლის გადიდების, სახელმწიფოს ხარჯზე გაცემული თანხებისა და შეღავათების ზრდის შედეგად მოსახლეობის რეალური შემოსავალი 1958 წელს ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით გადიდდა 5 პროცენტით.

მნიშვნელოვნად გადიდდა მოსახლეობის მიერ სასურსათო და არასასურსათო საქონლის ყიდვა სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში. საცალო საქონელბრუნვის წლიური გეგმა ვადამდე შესრულდა. **სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონლის ბრუნვის („ცენტროსოიუზის“ სასურსათო საქონლის საკომისიო ვაჭრობის ჩაუთვლელად) საერთო მოცულობამ 1958 წელს შეადგინა 667 მილიარდი მანეთი. 1957 წელთან შედარებით საცალო საქონელბრუნვა გადიდდა შესადარ ფასებში 6 პროცენტით, ხოლო არყის (რის გაყიდვაც შემცირდა), ჩაუთვლელად საქონელბრუნვა გადიდდა 7 პროცენტით.** გარდა ამისა, „ცენტროსოიუზის“ საკომისიო ვაჭრობის საშუალებით 1958 წელს გაიყიდა 8,7 მილიარდი მანეთის სასურსათო საქონელი, ანუ 10 პროცენტით მეტი, ვიდრე 1957 წელს.

საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულება მოკავშირე რესპუბლიკებში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	საცალო საქონელ-ბრუნვის წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით 1958 წელს	1958 წელს გაიყიდა 1957 პროცენტობით წელთან შედარებით
რუსეთის სფსრ	101	105
უკრაინის სსრ	100	105
ბელორუსიის სსრ	101	106
უზბეკეთის სსრ	102	108
უაზახეთის სსრ	103	110
საქართველოს სსრ	103	107
აზერბაიჯანის სსრ	102	105
ლიტვის სსრ	107	113
მოლდავეთის სსრ	102	108
ლატვიის სსრ	104	107
ყირგიზეთის სსრ	104	110
ტაჯიკეთის სსრ	106	110
სომხეთის სსრ	107	110
თურქმენეთის სსრ	109	112
ესტონეთის სსრ	104	106

ცალკეულ სახეობათა საქონლის გაყიდვა სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში გადიდდა შემდეგი ოდენობით:

	გაიყიდა 1958 წელს პროცენტობით 1957 წელთან შედარებით
ხორცი, ძეხვეული და სხვა ხორცპროდუქტები	112
თევზის პროდუქტები	108
ერბო-კარაქი	112
რძე და რძის პროდუქტები	116
ყველი	104
კვერცხი	118
შაქარი	110
საკონდიტრო ნაწარმი	104
ხილი	111
შალის ქსოვილები	111
აბრეშუმის ქსოვილები	104
სელის ქსოვილები	115
ტანსაცმელი და საცვალი	108
ტრიკოტაჟის ნაწარმი	112
წინდის ნაწარმი	108
ტყავის ფეხსაცმელი	111
ავეჯი	125
საპონი	110
საკერავი მანქანები	120
მაცივრები	116
სარეცხი მანქანები	140
მოტოციკლები და მოტოროლერები	120
რადიომიმღებნი	103
ტელევიზორები	150
მსუბუქი ავტომობილები	135

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფო დამზადების ზრდამ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შესაძლებელი გახადა გადიდებულიყო 1957 წელთან შედარებით მოსახლეობისათვის ხორცისა და ხორცის პროდუქტების მიყიდვა 320 ათასი ტონით, ერბო-კარაქისა — 59 ათასი ტონით, ხოლო სულ რძის, ერბო-კარაქის, ყველისა და სხვა რძის პროდუქტების რძეზე გადაანგარიშებით — 2,2 მილიონი ტონით.

სასურსათო დანიშნულების საქონლის მიყიდვა მოსახლეობისა და კოლმეურნეობებისათვის გადიდდა შემდეგი ოდენობით: ცემენტისა — 15 პროცენტით, შიფერისა — 12 პროცენტით, რბილი სახურავისა — 11 პროცენტით, ფანჯრის მინისა — 10 პროცენტით. მოსახლეობისა და კოლმეურნეობებისათვის ხეტყის მასალისა და სტანდარტული სახლების მიყიდვა გადიდდა 19 პროცენტით.

მიუხედავად საქონელბრუნვის ზრდისა, მოსახლეობის მოთხოვნილება სახალხო მოხმარების ზოგიერთ საქონელზე ჯერ კიდევ მთლიანად ვერ კმაყოფილდება, კერძოდ ბამბეულის ქსოვილების, ტყავის ფეხსაცმლისა და ავეჯის მხრივ.

საქონელბრუნვის ზრდამ და მოსახლეობის ანაბრების გადიდებამ შემნახველ სალაროებში უზრუნველყვეს ჩვენს ქვეყანაში ფულადი ბრუნვის შემდგომი განმტკიცება.

გასულ წელს მიღწეულია შემდგომი წარმატება სოციალისტური კულტურის დარგშიც.

მოსწავლეთა რიცხვი სსრ კავშირში, ყველა სახეობის სწავლების ჩათვლით, 1958 წელს შეადგენდა 50 მილიონზე მეტ კაცს. მოსწავლეთა რიცხვი ზოგად საგანმანათლებლო სკოლებში, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისა და მოზრდილთა სკოლების ჩათვლით, 1958/59 სასწავლო წელს წინა სასწავლო წელთან შედარებით გადიდდა 880 ათასი კაცით. ამ პერიოდში გაიხსნა 1.100-ზე მეტი ახალი საშუალო სკოლა. 1958 წელს საშუალო სკოლები დაამთავრა და სიმწიფის ატესტატი მიიღო 1 მილიონ 600 ათასმა კაცმა.

უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში (დაუსწრებელი სასწავლებლების ჩათვლით) სწავლობდა 4 მილიონზე მეტი კაცი. იმ სტუდენტთა რიცხვში, რომლებიც 1958 წლის შემოდგომაზე მიღებულ იქნენ უმაღლეს სასწავლებელთა დღის განყოფილებებზე, 45 პროცენტს შეადგენენ პირები, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ.

წარმოებას მოუწყვეტლივ 1958 წელს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და მოზრდილთა სკოლებში სწავლობდა 3 მილიონ 600 ათასზე მეტი კაცი, აქედან უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — 1 მილიონ 700 ათასზე მეტი კაცი.

უმაღლესმა და საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა 1958 წელს გამოუშვეს 840 ათასი ახალგაზრდა სპეციალისტი 1957 წლის 770 ათასთან შედარებით. ამასთან მრეწველობისათვის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობისათვის გამოშვებულია 350 ათასზე მეტი ინჟინერი და ტექნიკოსი, ანუ 23 პროცენტით მეტი, ვიდრე 1957 წელს.

გასულ წელს შეიქმნა 10 ახალი უმაღლესი სასწავლებელი, რომელთაგან 5 უმაღლესი სასწავლებელი გაიხსნა ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში — ქალაქებში აკმოლინსკში, ხაბაროვსკში, ულადივოსტოკში, კამჩატკის პეტროპავლოვსკში, უსტ-კამენოგორსკში. ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში მოეწყო აგრეთვე ახალი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტთა რიცხვი, რომლებიც დასაქმებული არიან სახალხო მეურნეობაში, ერთ წელიწადში გადიდდა 10 პროცენტით და 1958 წლის დამლევს შეადგენდა 7 მილიონ 500 ათას კაცს. მეცნიერ მუშაკთა საერთო რიცხვი ჩვენს ქვეყანაში 1958 წელს 1957 წელთან შედარებით გადიდდა თითქმის 9 პროცენტით და შეადგენდა 280 ათასზე მეტ კაცს, ამასთან მეცნიერ მუშაკთა რაოდენობა ტექნიკის, ფიზიკა-მათემატიკისა და ქიმიის მეცნიერებათა დარგში გადიდდა 12 პროცენტით.

შემდგომ განვითარდა კინო. გასულ წელს ჩვენი ქვეყნის კინოსტუდიებმა გამოუშვეს 131 ახალი სრულმეტრაჟიანი ფილმი, მათ შორის 108 მხატვრული, 23 ქრონიკალურ-დოკუმენტალური და სამეცნიერო-პოპულარული, აგრეთვე 630 მოკლე მეტრაჟიანი ფილმი (კინოჟურნალების ჩაუთვლელად).

კინოდანადგართა რაოდენობა 1958 წლის ბოლოს შეადგენდა 77 ათას და წინა წელთან შედარებით გადიდდა 7 ათასით. კინოსეანსებზე დასწრების რაოდენობა 1958 წელს შეადგენდა 3,3 მილიარდს და 1957 წელთან შედარებით გადიდდა დაახლოებით 300 მილიონით.

გასულ წელს გამოცემული წიგნების ტირაჟი შეადგენდა 1,1 მილიარდ ცალს; გადიდდა გაზეთების, ჟურნალებისა და სხვა პერიოდულ გამოცემათა ტირაჟი.

1958 წელს გრძელდებოდა მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების შემდგომი გაუმჯობესება და განვითარება. გაფართოვდა საავადმყოფოების, სამშობიარო სახლების, დისპანსერების, საბავშვო ბაგების, საბავშვო ბაღების ქსელი. გაიშალა სანიტარულ-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა, ქალთა და ბავშვთა კონსულტაციების, სანატორიუმებისა და ჯანმრთელობის დაცვის სხვა დაწესებულებათა ფართო ქსელი. საწოლების რიცხვი საავადმყოფო დაწესებულებებში 1957 წელთან შედარებით გაიზარდა 90 ათასით და მეტით, ადგილების რიცხვი მუდმივ საბავშვო ბაგებში — თითქმის 110 ათასით, საწოლების რიცხვი სანატორიუმებში — თითქმის 8 ათასით. ექიმთა რიცხვი გადიდდა 16 ათასით.

1958 წლის ზაფხულში 6,5 მილიონზე მეტი ბავშვი და მოზარდი ისვენებდა პიონერთა ბანაკებში, ბავშვთა სანატორიუმებში, საექსკურსიო-ტურისტულ ბაზებში ან იყო საბაგარაკო ადგილებში, რომელთაც აქვთ საბავშვო ბაღები, საბავშვო სახლები და საბავშვო ბაგები.

1958 წელს მნიშვნელოვნად გადიდდა საბინაო მშენებლობა. **საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 1958 წლისათვის დაწესებული დავალება საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემისა სახელმწიფო სახსრების ხარჯზე, აგრეთვე მოსახლეობის სახსრების ხარჯზე და სახელმწიფო კრედიტის დახმარებით ქალაქებში, ქალაქის ტიპის დაბებში, მტს-ებში, სარემონტო-ტექნიკურ სადგურებში, საბჭოთა მეურნეობებსა და ტყის მრეწველობის მეურნეობებში 61 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობით გადაჭარბებით არის შესრულებული. 1958 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა (იმ მშენებლობის ჩაუთვლელად, რასაც კოლმეურნეები და სოფლის ინტელიგენცია აბორიგენებენ) დაახლოებით 68 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, ანუ 7 მილიონ კვადრატული მეტრით მეტი, ვიდრე გეგმით იყო დაწესებული.**

გარდა ამისა, კოლმეურნეებმა და სოფლის ინტელიგენციამ გასულ წელს აიშენეს 700 ათასზე მეტი საცხოვრებელი სახლი.

საბინაო მშენებლობაში მთლიანად სსრ კავშირში დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისას უკმარშესრულებულია საბინაო მშენებლობის გეგმა ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში, ესტონეთის სს რესპუბლიკასა და უაზახეთის სს რესპუბლიკაში, თუმცა ამ რესპუბლიკებშიც საცხოვრებელი სახლები აშენდა მნიშვნელოვნად მეტი, ვიდრე 1957 წელს.

1958 წელს მნიშვნელოვნად გადიდდა კაპიტალური დაბანდება განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მშენებლობაში და კომუნალურ მშენებლობაში. **გადიდდა ზოგად საგანმანათლებლო სკოლების, საავადმყოფოების, საბავშვო ბაღებისა და საბავშვო ბაგების საექსპლოატაციოდ გადაცემა, მაგრამ ამ ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა უკმარშესრულებულია.**

გასულ წელს გრძელდებოდა ქალაქების, დაბებისა და სასოფლო რაიონების ცენტრების კეთილმოწყობის მოქმედ კომუნალურ ნაგებობათა და საწარმოთა — წყალსადენების, კანალიზაციის, აბანოების, სამრეცხაოების გაფართოების, ტრამვაის, ტროლეიბუსისა და ავტობუსის მოძრაობის, საცხოვრებელი სახლების თბოფიკაციისა და გაზიფიკაციის და ახლების მშენებლობის სამუშაოები.

1958 წელს კვლავ ფართოვდებოდა ეკონომიური ურთიერთობა საზღვარგარეთულ ქვეყნებთან, ამასთან მნიშვნელოვნად გაიზარდა მანქანებისა და მოწყობილობის, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, შავი ლითონების ნაგლინისა და სხვა საქონლის ექსპორტი.

* * *

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები 1958 წელს იმას მოწმობენ, რომ საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვა ახალი შესანიშნავი მიღწევები საქმიანობის ყველა დარგში და წარმატებით იბრძვის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის შესახვედრად

ქარხნის შვიდწლედი

სახალხო მეურნეობის განვითარების მომავალი შვიდწლიანი გეგმით ფართო პერსპექტივებია დასახული ჩვენი ქარხნის წინაშე. შვიდწლედში ლიტოპონის წარმოება გადიდდება დაახლოებით 1,5-ჯერ, ხოლო შაბიამნისა — 2-ჯერ. ასევე მნიშვნელოვნად დიდდება სრესილი საღებავების გამოშვება.

ყველაფერი ეს მოითხოვს ქარხნის გაფართოება-რეკონსტრუქციასა და მთელი რიგი საწარმოო პროცესების შემდგომ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას.

გათვალისწინებულია ქარხანაში მოეწყოს ბარიტის დამსხვრევა-დაფქვის საამქრო. დამსხვრეული ბარიტი, რაც საბჭოთა კავშირის შორეული რაიონებიდან შემოგვაქვს, აუცილებელია სრესილი საღებავების წარმოების შემდგომი განვითარებისათვის.

პროდუქციის გამოშვების გადიდების უზრუნველსაყოფად რეკონსტრუირებულ უნდა იქნას საქვაბე და აირგენერატორის საამქროები, ამასთან ერთად საჭიროა დაიდგას მესამე ღუმელი ლიტოპონის საამქროში.

ამ ობიექტების მშენებლობისათვის გამოყოფილია სახსრები, მაგრამ იგი მთლიანად ვერ უზრუნველყოფს გათვალისწინებულ ობიექტების მშენებლობის განხორციელებას.

აუცილებლად დადებითად უნდა გადაწყდეს ქარხნის ტერიტორიაზე მაღალხარისხოვანი ლიტოპონის საამქროს მშენებლობის საკითხი. გარდა იმისა, რომ მაღალხარისხოვან ლიტოპონზე უდიდესი მოთხოვნილებაა, იგი ამასთან ერთად დაგვეხმარება ემულსიური საღებავების წარმოების შექმნასა და განვითარებაში.

ცნობილია, რომ ჩვენს რესპუბლიკაში გათვალისწინებული ემულსიური საღებავების ქარხნის აგება. ჩვენი აზრით, უფრო მიზანშეწონილი იქნება ასეთი ქარხანა ან მძლავრი საამქრო აიგოს ქუთაისის ლიტოპონის ქარხანასთან. ეს ერთი მხრივ გააადვილებს და გააიაფებს თვით ემულსიური საღებავების მიღებას, მეორე მხრივ კი გაადიდებს ქარხნის ძირითადი საამქროს — ლიტოპონის საამქროს წარმადობას.

ლიტოპონისა და სხვა ქიმიური პროდუქტების წარმოების გადიდების უზრუნველსაყოფად საჭიროა დაჩქარებული ტემპით განვითარდეს ქიმიური ნედლეულის ბაზებიც. ლიტოპონის ქარხანას ამჟამად ექვემდებარება ღვედის, კუდადარო-კვაისის და სხვა ბარიტის მაღაროები. ამასთან დაწყებულია ფიციკვარის ბარიტის მაღაროს ათვისება-მშენებლობა. ბარიტის ყველა ეს საბადო მხოლოდ ნახევრად დააკმაყოფილებს ქარხნის გაზრდილ მოთხოვნილებას ბარიტზე. ბარიტის მთელი რიგი სხვა მძლავრი მაღაროები სხვა უწყებათა გამგებლობაში შედიან და არარეგულარულად ამარაგებენ ამ ნედლეულით ქიმიურ ქარხნებს, ეს კი თავის მხრივ ძლიერ აფერხებს პროდუქციის გამოშვების ზრდას. ამიტომ, ჩვენი აზრით, კარგი იქნება, თუ ნედლეულის მოპოვების ბაზები — ბარიტის მაღაროები და ქიმიური საწარმოები გაერთიანდება ერთ ადმინისტრაციულ ერთეულად.

გ. ძიმისტარიშვილი,
ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის დირექტორი.

ა. ი. მიკოიანი ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 14 იანვარი. (საკადესის სპეც. კორ.). დღეს დილით ა. ი. მიკოიანმა საათნახევარზე მეტი დრო გაატარა ნიუ-იორკის უდიდეს უნივერსალურ მაღაზიაში „მეისი“. მაღაზია ეკუთვნის კომპანიას, რომელიც ფლობს უნივერმაღების მთელ ქსელს შეერთებულ შტატებში. კომპანიის „მეისი ენდ კო“ გამგეობის თავმჯდომარე ჯეკ სტრაუსი, ამ კომპანიის პრეზიდენტი უილიამ ბინგჰემი და ნიუ-იორკის უნივერმაღის მმართველი არტურ მენჩი ა. ი. მიკოიანს შეხვდნენ მაღაზიაში შესასვლელთან, თან ახლდნენ სხვადასხვა განყოფილების დათვალიერების დროს და აძლევდნენ ახსნა-განმარტებას.

ა. ი. მიკოიანი იყო უზარმაზარი მაღაზიის ცხრაკე სართულზე. მან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სინთეზური მასალებისა და პლასტიკური მასებისაგან დამზადებულ ნაწარმს. ავეჯის განყოფილებაში ა. ი. მიკოიანმა აღნიშნა ზოგიერთი ახალი ნიმუშის ავეჯის სიმსუბუქე და მოხერხებულება, მზა ქალთა ტანსაცმლის განყოფილებაში მან აღნიშნა ახალი ფასონების ჩვენების კარგი ორგანიზაცია, აგრეთვე მოხერხებული პრაქტიკა, როცა მყიდველი ტანსაცმელს აირჩევს უგამყიდველოდ. მაღაზიის სასურსათო სექციაში ა. ი. მიკოიანს აინტერესებდა გაყინული მზა საუზმეები და სადილები, მათი ასორტიმენტი და შეფუთვის წესები.

უნივერმაღის დათვალიერების შემდეგ ა. ი. მიკოიანი იყო საუზმეზე, რომელიც მის პატივსაცემად გამართა უდიდესი ბანკის „ფერსტ ნეიშნლ სიტი ბენკ ოფ ნიუ-იორკ“ გამგეობის თავმჯდომარემ შეპერდმა უოლ-სტრიტზე ცათამბჯენის 50-ე სართულზე.

უფრო გვიან ა. ი. მიკოიანი იყო სტუმრად ნიუ-იორკის შტატის ყოფილ გუბერნატორ ა. ჰარიმანთან, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს შეერთებული შტატების ელჩი იყო მოსკოვში.

ამ შეხვედრის შემდეგ ა. ი. მიკოიანმა ამერიკელი და უცხოელი კორესპონდენტების კითხვებზე პასუხად თქვა:

„ჩვენ ერთმანეთს შევხვდით, როგორც ძველი მეგობრები, და განვიხილეთ ბევრი საკითხი, მათ შორის პოლიტიკური და ეკონომიური“.

ჰარიმანმა, თავის მხრივ, კორესპონდენტებს აცნობა, რომ ა. ი. მიკოიანმა მიიწვია იგი ჩავიდეს მოსკოვში და რომ განზრახვა აქვს საბჭოთა კავშირში გაემგზავროს მეუღლესთან ერთად ამ წლის მაისში. კითხვაზე, აპირებს თუ არა იგი შეხვდეს ნ. ს. ხრუშჩოვსო, ჰარიმანმა უპასუხა, დიდად მოხარული ვიქნები ვნახო ნ. ს. ხრუშჩოვი, თუ ასეთი შესაძლებლობა მომეცაო.

სადამოს ა. ი. მიკოიანმა სიტყვა წარმოთქვა სადილზე, რომელიც ნიუ-იორკის ეკონომიურმა კლუბმა გამართა ოტელ „უოლდორფ-ასტორიაში“.

ნიუ-იორკი, 15 იანვარი. (საკადესი). დღეს დღის პირველ ნახევარში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი მივიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობაში. აქ იგი შეხვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს დაგ ჰამარშელდს და ნახევარ საათს ესაუბრა მას. შემდეგ დ. ჰამარშელდის თანხლებით ა. ი. მიკოიანმა შემოიარა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთელი შენობა, დაათვალიერა მისი სხდომათა დარბაზი, რის შემდეგ მოეწყო პრეს-კონფერენცია, რომელსაც დაესწრო ორასამდე ამერიკელი და უცხოელი ჟურნალისტი. ა. ი. მიკოიანმა უპასუხა კორესპონდენტთა მრავალ კითხვაზე.

ნიუ-იორკი, 15 იანვარი. (საკადესი). 14 იანვარს საღამოს ა. ი. მიკოიანს სთხოვეს გამოსულიყო საქმიანი წრეების წარმომადგენელთა წინაშე სადილზე, რომელიც ნიუ-იორკის ეკონომიურმა კლუბმა გამართა სასტუმრო „უოლდორფ-ასტორიის“ დიდ დარბაზში. სადილზე იყო ათასზე მეტი მრეწველი, კომერსანტი, ფინანსისტი და საქმიანი წრეების სხვა წარმომადგენელი.

ა. ი. მიკოიანის გამოჩენას ტრიბუნაზე და მის პირველ სიტყვებს იმის შესახებ, რომ საჭიროა მშვიდობიანი თანაარსებობა, ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ.

დღევანდელ ჩვენს ყოფნას ამ სადილზე, თქვა ა. ი. მიკოიანმა, ერთგვარი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. ჩვენ, კომუნისტები, და თქვენ, კაპიტალისტები, ვსხედვართ აქ ერთად და არცთუ ცუდად ვგრძნობთ თავს, რადგან ჩვენ ყველას შეგნებული გვაქვს, რომ საჭიროა სხვადასხვა სოციალური სისტემის — ჩვენი ქვეყნისა და თქვენი ქვეყნის მშვიდობიანი თანაარსებობა. ჩვენ გვსურს მშვიდობიანად ვიშუოამოთ ჩვენ-ჩვენს ქვეყანაში, ვიცხოვროთ თავისებურად, ხელი არ შევუშალოთ ერთმანეთს, ვიცხოვროთ, როგორც თვითეულ ჩვენგანს სურს, როგორც იტყვიან, „შენც იცხოვრე და სხვებიც აცხოვრე“.

ჩვენ გვაქვს უთანხმოება, და ეს უთანხმოება, რა თქმა უნდა, შემდეგშიც იქნება. მაშ მოდით და ვიკამათოთ, დავიცვათ ჩვენი თვალსაზრისი, მაგრამ ნუ ვიომებთ. **(ტაში).**

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ამბობდნენ, თითქოს საბჭოთა კავშირი სამხედრო მუქარას უქმნის შეერთებულ შტატებს. საბედნიეროდ, ბოლო დროს ამაზე უფრო ნაკლებად ლაპარაკობენ, თუმცა წარსულშიც, როგორც ცნობილია, ასეთი მტკიცება იყო არასწორი, არ შეესაბამებოდა სინამდვილეს.

ახლა ამბობენ, რომ რაღაც ეკონომიური საფრთხე მოელის შეერთებულ შტატებს ჩვენგან, უფრო საშიში, ვიდრე საძახედრო საფრთხეა. ასეთი განცხადებანი უსაფუძვლოა, ისე როგორც წინანდელი მტკიცებანი. ჩვენ გვსურს შვიდი წლის განმავლობაში საქონლის წარმოება ჩვენს ქვეყანაში გავადიდოთ 80 პროცენტით, მნიშვნელოვნად ავამაღლოთ ჩვენი ხალხის მატერიალურ-კულტურული დონე. რა საფრთხეზეა აქ ლაპარაკი, ბატონებო, თუ საბჭოთა ადამიანები მოიხმარებენ იმდენსავე ხორცს, რამდენსაც თქვენ, დალევენ იმდენსავე რძეს, რამდენსაც თქვენ? თუ ჩვენში, საბჭოთა კავშირში, ყველაფერი უზადად იქნება, რა საფრთხე მოგელით თქვენ ამის გამო?

აქ ჩვენი კრების თავმჯდომარემ ბ-ნმა ჰარლმ ილაპარაკა, რამდენი მაცივარი, ტელევიზორი და სხვ. გაქვთ თქვენ. თუ ჩვენ საკმაოდ გვექნება ეს საქონელი, განა ეს საფრთხეს შეგიქმნით თქვენ, ბატონებო? ნუღარ აშინებთ თავის თავსა და სხვებს. ჩვენ უნდა გვქონდეს მეტი ურთიერთობა, მეტი უნდა ვიცჯერთო, უნდა გავაძლიეროთ აზრთა ურთიერთგაზიარება და უკეთ გავიცნოთ ერთმანეთი და მაშინ გაქარწყლდება შიში, უზრუნველყოფილ იქნება ნამდვილი მშვიდობა ჩვენს ქვეყნებს შორის, ბოლო მოეღება „ცივ ომს“.

მე ხშირად მეკითხებიან, რით შეგვიძლია ჩვენ ვიკაჭოთო, რა საქონელი შეიძლება მოგვყიდონ და რა იყიდონ ჩვენგან.

იყო დრო, როცა თქვენ, ამერიკელმა ბიზნესმენებმა, კარგად იცოდით, რა შეგიძლიათ ჩვენგან იყიდოთ და რა მოგვყიდოთ...

სავაჭრო შეთანხმება, რომელიც ჩვენს ქვეყნებს შორის იყო, გააუქმეს შეერთებულმა შტატებმა. ისეთ საბჭოთა საქონელზედაც კი, როგორიც არის ბეწვეული, კიბორჩხლის კონსერვები და სხვ., რომლებიც არ უშვებენ კონკურენციას თქვენს საქონელს, შემოღებულია გადიდებული ბაჟი. არსებობს მთელი რიგი გრძელი სიები, რომლებიც განსაზღვრავენ, რა საქონლის ექსპორტი შეიძლება და რა საქონლის არა.

როცა ჰენრი ფორდი ჩვენთან ვაჭრობდა, მაშინ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ჩვენ ჯერ კიდევ არ გვცნობდა, მაგრამ ფორდი როდი სთხოვდა მთავრობას ვაჭრობის ნებართვას და იგი მართალი აღმოჩნდა. შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მიხვდა, რომ ფორდი მართალია. დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის. ახლა კი ბიზნესმენებმა, თუ მათ სურთ ჩვენთან ვაჭრობა, უნდა დაიქირაონ იურისტთა მთელი ჯგუფი, რათა ამ იურისტებმა შეისწავლონ საექსპორტოდ ნებადართული და აკრძალული საქონლის სიები და გაერკვნენ, რით შეიძლება ვაჭრობა და რით არ შეიძლება. მაგალითად, ჩვენ ვაწარმოებდით მოლაპარაკებას თქვენს ფირმებთან ქიმიური ქარხნებისათვის ზოგიერთი მოწყობილობის მოწოდების შესახებ. თითქოს ყველაფერზე შევთანხმდით, მაგრამ საბოლოო პასუხი დღემდე მაინც არ არის. ვეკითხებით, რით აიხსნება ეს? ჩვენ გვეუბნებიან: ჯერ არ არის საგელმწიფო დეპარტამენტის ნებართვა, საკითხს სწავლობენ, და აი, სანამ იქ ფიქრობენ და წყვეტენ, ბუნებრივია, ჩვენ ამ შეკვეთებს ვაძლევთ სხვა ქვეყნებს. **(სიცილი, ტაში).**

იმ საქონლის სიებში, რომლის მიყიდვა საბჭოთა კავშირისათვის აკრძალულია, არის ისეთი რამ, რაც კარგ მასალას მისცემდა თქვენი ჟურნალებს ჰუმორისტებს. ამის დასასაბუთებლად შემიძლია მოვიყვანო რამდენიმე მაგალითი. ნებადართულია ნახმარი ხის ნაკეთობათა მიყიდვა საბჭოთა კავშირისათვის, მაგრამ აკრძალულია... შეშის მიყიდვა. **(სიცილი).** ხოლო ჩვენ, როგორც ცნობილია, თვითონ გიგვაქვს ხე-ტყე და ხის ნაკეთობანი. **(სიცილი).**

ნებადართულია სასაქმებელი წამლების მოყიდვა ჩვენთვის, თუმცა ჩვენ ისანი არ გვესაჭიროება. ალბათ, ზოგი ვინმე ფიქრობს, რომ ეს წამალი შეასუსტებს ჩვენი რაკეტების ძალას. **(ტაში).**

ნებადართულია სურათების ჩამოსაკიდი ლითონის ზონრის მიყიდვა საბჭოთა კავშირისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს ზონარი გაკეთებულია უძაღვავი ფოლადისაგან. ალბათ, ზოგმა ვინმემ იცის, რომ რაკეტებში იყენებენ უძაღვავ ფოლადს, და არ სურთ მოგვცენ იგი. **(სიცილი).**

მეტს ალარ მოვიყვან ამგვარ მაგალითს, თუმცა ასეთი მაგალითი ძალიან ბევრია ეგრეთწოდებული სტრატეგიული საქონლის სიებში. მაგრამ განა ასეთი სასაცილო რამ ზიანს არ აყენებს ამერიკის, მისი მოღვაწეების, მისი საქმიანი წრეების ღირსებას.

მე წინათაც ხშირად შევხვედრივარ თქვენს საქმიან ადამიანებს, და დავრწმუნდი, რომ პოლიტიკური აზრი თქვენს ქვეყანაში ჩამორჩება მის საქმიან მოღვაწეობას. **(სიცილი, ტაში).** მაგრამ ბიზნესმენებო, ეფიქრობ, თავისას გაიტანენ, და ჩვენი საქმე გამოკეთდება.

მე ისე ხშირად წარმოთქვამდი სიტყვას თქვენს ქვეყანაში მოგზაურობის დროს, რომ ზოგიერთები მეკითხებიან, ხომ არ ვაპირებ წამოვაყენო ჩემი კანდიდატურა სენატში. მაგრამ მე შევდივარ საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოში და შემიძლია დავამშვიდო ჩემი ამერიკელი „მეტოქეები“, რომ მათ არავითარი საფრთხე არ მოელით. **(სიცილი).**

მე მინდა აღვნიშნო როგორც სასიხარულო ფაქტი, რომ ამ ბოლო დროს საბჭოთა კავშირს ეწვივნენ მთელი რიგი თვალსაჩინო ამერიკელი მოღვაწეები, მათ შორის ბ-ნები სტივენსონი, ჰემფრი, ლიპმანი, ქ-ნი რუზველტი, ერიკ ჯონსტონი და სხვები. მე აქ არ დავასახელებ ბევრ სხვა ამერიკელს, რომლებიც იყვნენ ჩვენში, კეთილსინდისიერად გაეცნენ ჩვენს ცხოვრებას და შეეცადნენ ობიექტურად ეამბნათ თავიანთი ხალხისათვის, თუ რა ნახეს საბჭოთა კავშირში. ისინი დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა კავშირის ხალხსა და მთავრობას სურთ მშვიდობა და მხოლოდ მშვიდობა, სურთ მშვიდობიანი თანამშრომლობა თანასწორობის, ურთიერთპატივისცემის, ერთმანეთის ინტერესების აღიარების საფუძველზე. **(ტაში).**

მეორე მხრივ, ბევრი საბჭოთა ადამიანი იყო თქვენთან აქ, შეერთებულ შტატებში. ისინიც ჩამოვიდნენ კეთილსასურველი შთაბეჭდილებებით თქვენი ხალხის, თქვენი ქვეყნის გაცნობის გამო. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენი მოგზაურობის დროს ჩვენ ვესაუბრეთ ბევრ ამერიკელს, და შეგვიძლია ვთქვათ, რომ უბრალო ამერიკელებს სურთ მშვიდობა. საქმიანი ადამიანებიც, რომლებსაც ჩვენ შევხვდით, ამბობენ, რომ სურთ ჩვენთან ურთიერთობის გაუმჯობესება. ჩვენ არა გვაქვს საფუძველი არ დავუჯეროთ მათ, და ჩვენთვის სასიამოვნო იყო ასეთი განცხადებების მოსმენა.

მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ ძალიან ბევრი ცრურწმენა და წინაშრახვაა საბჭოთა კავშირის შესახებ. ორივე მხარემ ბევრი უნდა იმუშაოს, რათა შეიქმნას ნდობა ჩვენს ურთიერთობაში.

ეიზენჰაუერის გამოსვლა პრესის ეროვნულ კლუბში

ვაშინგტონი, 15 იანვარი. (საკადესი). გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა სიტყვა წარმოთქვა საუზმეზე პრესის ეროვნულ კლუბში. უპასუხა რა კორესპონდენტთა კითხვებზე ა. ი. მიკოიანთან მისი მომავალი შეხვედრის შესახებ, პრეზიდენტმა თქვა: **არა მგონია, რომ ჩვენი** საუბრის დროს წამოყენებულ იქნას რაიმე ახალი წინადადებანი, რომლებიც გერმანიის პრობლემას შეეხებიან. მე ეფიქრობ, განაგრძო მან, რომ ყველაზე ბევრი, რასაც შეიძლება მოველოდეთ ასეთი შეხვედრისაგან, ეს არის ორივე მხარის ნამდვილი თვალსაზრისის გამორკვევა გერმანიისა და სხვა საკითხებზე. მაგრამ საბოლოო ანგარიშით მშვიდობიანი მოლაპარაკება სწორედ ასეთი უკეთესი ურთიერთგაგებიდან წარმოიშობა.

უპასუხა რა კორესპონდენტთა ერთერთ კითხვაზე, პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა აღნიშნა საბჭოთა კავშირის „ბრწყინვალე“ მიღწევები ბალისტიკური რაკეტების შექმნაში და განაცხადა, რომ სისულელე იქნებოდა უარყოფა, რომ საბჭოთა კავშირი შეერთებულ შტატებზე „რამდენადმე წინ არის“ ამ დარგში.

ნორჩი მოთხილამურეები ირინე ჯუღელი და მერაბ ნიუარაძე.
ფოტოტიპუდი გ. კოკვაძისა (საკადესის ფოტოქრონიკა).

რა ხდება ბელგიის კონგოში

ახალი წლის დაწყება დამოკიდებულ და კოლონიურ ქვეყნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი აღმავლობით აღინიშნა. ამას მოწმობს არა მარტო კუბის ამბები, არამედ ისიც, რაც ბელგიის კონგოში ხდება.

მამდინარე წლის 4 იანვარს ბელგიის კონგოს ადმინისტრაციულ ცენტრში ლეოპოლდვილში უთაოლო მუშებმა მოაწყეს მშვიდობიანი დემონსტრაცია. მათი ლოზუნგი იყო: „ჩვენ დამოუკიდებლობა გვსურს!“ მუშათა მშვიდობიან დემონსტრაციას კოლონიზატორთა პოლიციამ სროლა აუტეხა, აკაკანდნენ ტყვიამფრქვევები, დაიღვარა პატრიოტი მუშების სისხლი.

უთაოლო მუშების დახვრეტის ამბავი სწრაფად მოედო ქალაქის ზანგებით დასახლებულ უბნებს. საბრძოლველად დაირაზმნენ ათასობით მშრომელები. ამოქმედდნენ კოლონიზატორთა ჯარის ნაწილები, ბრძოლაში ჩაება ტანკები და ქვემეხები. გაიფთრებულ ბრძოლებში 4-5 იანვარს, არასრული ცნობებით, მოკლულ იქნა 175 კაცი, დაიჭრა სამჯერ მეტი. მოკლულთა შორის არ იყო არცერთი ევროპელი.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღა ბელგიის კონგოს სხვა ქალაქებსაც მოედო. მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა სულ უფრო ძლიერდება.

* * *

კონგო ბელგიის კოლონიაა ცენტრალურ აფრიკაში. მისი ტერიტორია 2.344.932 კვადრატული კილომეტრია და 76-ჯერ აღემატება თვით ბელგიის ტერიტორიას. მოსახლეობის რიცხვი, 1957 წლის აღწერით, 13 მილიონს სჭარსობს. აქედან ევროპული წარმოშობის მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 108 ათასია, ე. ი. აფრიკელების ერთ პროცენტსაც არ შეადგენს.

კოლონიური რეჟიმი ბელგიის კონგოში შესაძლებლობას აძლევს მოსახლეობის ერთ პროცენტს ექსპლოატაცია გაუწიოს მოსახლეობის 99 პროცენტს.

კონგო აფრიკის უმდიდრესი ქვეყანაა. იქ დიდი როდენობით მოიპოვება სპილენძი, ურანი, კობალტი, მარგანეცი, ალმასი. უხვმოსავლიან ფართობებზე, რომლებიც კოლონიზატორებმა ჩაიგდეს ხელში, გაშენებულია ყავის, ბამბის, ზეთის პალმის, კაკაოსა და კაუჩუკის პლანტაციები. ქვეყნის ამ სიმდიდრეებს ერთი თუმა კაპიტალისტები განაგებენ და უმოწყალოდ ჩაგრავენ ადგილობრივ მოსახლეობას. გამეფებულია სასტიკი დისკრიმინაცია. ზანგებს უფლება არა აქვთ იცხოვრონ თეთრკანიანთა უბნებში. ამიტომ ლეოპოლდვილი და სხვა ქალაქები დაყოფილია მკვეთრად განსხვავებულ უბნებად — აფრიკელებისა და ევროპელების უბნებად. ამასთან ზანგებს არ შეუძლიათ ღამის 10 საათის შემდეგ იყვნენ თეთრების უბნებში. ზანგები იმავე სამუშაოს შესრულებისათვის ევროპელებთან შედარებით 10-20-ჯერ ნაკლებ ხელფასს იღებენ.

უცხოელი კოლონიზატორებისათვის ხელსაყრელია აფრიკელთა სიღატაკე და ჩამორჩენილობა, იაფი მუშა-ხელი და უპრეტენზიო მონები. ამით აიხსნება, რომ ბელგიის კონგოს ძირითადი მოსახლეობის 97 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია.

ყოველივე ამის შემდეგ ბურჟუაზიულ პრესას ჰყოფნის გამბედაობა ბელგიის კონგო მონათლოს როგორც „სამოთხე შაეკანიებისათვის“. ამ „სამოთხეში“, სადაც მეტად მძიმე, არაადამიანური შრომისთვისაც კი არ არსებობს ადამიანური ანაზღაურება, გამეფებულია უმუშევრობა. გაზეთ „ლიბრ ბელჟიკის“ ცნობით, „მხოლოდ ლეოპოლდვილში 75-დან 100 ათასამდე კაცს არა აქვს საარსებო სახსრები, ბევრი მათგანი შიმშილობს“.

ბელგიელ კოლონიზატორთა 50 წლის ბატონობამ დიდი ზიანი მიაყენა კონგოს მშრომელებს. მდიდარ ქვეყანაში ღარიბული ცხოვრება, უუფლებობა, სნეულებანი, უმეცრობა და უვიცობა — აი რა დაუმკვიდრეს კოლონიზატორებმა კონგოს ზანგ მოსახლეობას.

.მაგრამ ჩვენს ეპოქაში აღარ შეიძლება კოლონიური ქვეყნების ძველებურად მართვა. ხალხებმა გამოიღვიძეს. ისინი ხმას იმაღლებენ მჩაგვრელთა წინააღმდეგ, მოითხოვენ დამოუკიდებლობის მინიჭებას, უცხოელი კაპიტალისტების გაძევებას.

ბელგიის კონგო კოლონიალიზმის თითქოს ყველაზე მშვიდი და უშფოთველი ციტადელი იყო. იქ არ არსებობდა პოლიტიკური პარტიები. კაპიტალისტები განცხრომით ეწეოდნენ ქვეყნის და ხალხის ექსპლოატაციას. მაგრამ აი ინგრევა ეს ციტადელიც. სახალხო მღელვარების ტალღამ სიმშვიდე დაუკარგა არა მარტო ბელგიელ კოლონიზატორებს, არამედ მჩაგვრელებისა და იმპერიალისტების მთელ პლეადას. მათ პატარა ქვეყნის ამ დიდ მღელვარებაში ესმით ზარის შემზარავი გუგუნი, რომელიც ერთხელ კიდევ მოაგონებთ, რომ ახლოვდება კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის აღსასრული.

ბელგიელი კოლონიზატორები საატიკად სჯიან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ორგანიზატორებს — ასოციაცია „აბაკოს“ (ბელგიის კონგოს მოქალაქეთა ასოციაციის) ხელმძღვანელებს, ზანგ პატრიოტებს. მათი სურვილია თავისუფლებისა და წინსვლის გზა დაუბრუნონ კონგოს მშრომელებს. მაგრამ სიმართლის დასაცავად ამოღებული ხმალი ქარქაშში არ ჩაიგება. სიმართლისათვის, დამოუკიდებლობისათვის იბრძვის კონგოს მთელი ხალხი, და მომავალიც მას ეკუთვნის.

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი კონგოს ხალხის მხარეზეა მთელი პროგრესული კაცობრიობის სიმპათია.

ა. მახვილაძე.

უძლიერესთა შეხვედრები

ბაკურიანში გამართულმა საკავშირო სასპარეზობამ თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომასა და ორეიდში, რაც ორ დღეს გრძელდებოდა, მრავალი მაყურებელი მიიზიდა.

სტარტზე გამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის სახელმოხვეჭილი მოთხილამურე ე ბ ი, ჩემპიონები, რეკორდსმენები. ბრძოლა დაიწყო ტრამპლინიდან ხტომით, რომელიც ორეიდის პროგრამით იყო გათვალისწინებული. აქ უძლიერესი იყო დინამოელი ი. ზაკალიუკინი.

საბჭოთა კავშირის გასული წლის ჩემპიონმა ნ. გუსაკოვმა ორეიდში (ხტომა და სათხილამურო გადარბენა) 448,6 ქულა შეაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის სპორტსმენებმა.

ტრამპლინიდან ხტომაში ი. სამსონოვის შედეგი (77,5 მეტრი) ყველაზე უკეთესი აღმოჩნდა. სათხილამურო სპორტის ამ სახეობაში გუნდური პირველი ადგილი დაიკავა „შრომითი რეზერვების“ სპორტსმენთა კოლექტივმა.

ორეიდსა და ტრამპლინიდან ხტომაში შეგროვილ ქულათა ჯამის მიხედვით საერთო პირველი ადგილი დაიკავა ცსკმო-ს გუნდმა.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი

კოტე მარჯანიშვილის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

ორშაბათს, 19 იანვარს
მშვიდობის ფონდისათვის
ა. კასონა
„ხეები ზეზეულად კვდებიან“
კომედია 3 მოქმედებად.
საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ვერიკო ანჯაფარიძის მონაწილეობით

დღის თამაშებსა და ჰიპოდრომი

ოპერისა და ბალეტის — ჩიო-ჩიო-სან (მე-12 აბონ. მე-4 წარმოდგენა), მარჯანიშვილის სახელობის — მოკვეთილი, გრიბოედოვის სახელობის — ხეები ზეზეულად კვდებიან, სომხური დრამის — ნამუსი, რკინიგზის სახლი — აღლუმი (მუსიკალური კომედიის თეატრის წარმოდგენა), სანკულტურის — გუშინდელნი, მოზარდ მაყურებელთა ქართული — დაკარგული დრო (აბონ. № 10, 5. ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — განსაკუთრებული დავალება, თოჯინების ქართული — თოვლის პაპა (4 ს.).

* * *

რუსთაველის სახელობის — კოჩუბეი, ოტ�მბერი, ისანი, სპარტაკი, თბილისი, საქართველო (მწვანე დარბაზი), პლეხანოვის სახელობის კლუბი, ჭავჭავაძის სახელობის კლუბი — მინდვრის ბულბული, ყაზბეგი — მემანქანე, კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი) — შემთხვევა უდაბნოში, საქართველო (წითელი დარბაზი), კომუნარების ბაღი, კოლმეურნე, კიროვის სახელობის პარკი, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი, სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლი — მამლუქი, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი) — ტისაზე, კოლხიდა — მყუდრო ბინა, გორკის სახელობის კულტურის სახლი — ნაფრის.

ვარშავის მეორედ დაგადეგა

ვარშავის ყოველკვირეული „ჟურნალის „სტოლიცის“ რედაქცია, საჭალაქო განყოფილების გამგე ეფი კურილიუკი — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქის ისტორიისა და არქიტექტურის დიდი მცოდნე, — თაროდან იღებს ზეიმზეიდ წიგნებს. ამ წიგნებში ნაამბობია, თუ როგორი იყო ვარშავა ომამდე, როგორი ნაწამოებდათ იგი საბჭოთა არმიის მეომრების თვალს, რომლებმაც ჰიტლერელ დამპყრობთაგან გაათავისუფლეს იგი 14 წლის წინათ — 1945 წლის 17 იანვარს, როგორ მიმდინარეობდა აღდგენითი მუშაობა.

ფოტოდოკუმენტების სიუხვე შესაძლებელს ხდის ნათლად წარმოვიდგინოთ საშინელი ნგრევა, რაც ომმა აქ გამოიწვია. ოფიციალური ცნობებით, შენობათა 85 პროცენტი გადაქცეული იყო ნანგრევებად.

ეფი კურილიუკთან ერთად ჩვენ დავიარეთ ვარშავა, ვეცნობოდით მის არქიტექტურულ ძეგლებს, ყველაფერს, რითაც ასე ამაყობენ ვარშაველები, და ხშირად გვესმოდა ერთიდაიგივე სიტყვები: „ეს ფაშისტებმა დაანგრიეს. ახლა აღდგენილია“.

ჰიტლერელები ისწრაფვოდნენ პირისაგან მიწისა აღეგავათ ყველაფერი, რაც ძვირფასია პოლონელი ხალხისათვის, მაგრამ ახალი პოლონეთისა და ვარშავის, რომელიც თავის მეორედ დაბადებას განიცდის, მშრომელები შეეცადნენ, რაც შეიძლებოდა მალე მოეშუშებინათ ფაშისტი ბარბაროსებისაგან მიყენებული ჭრილობები.

ახლა ვარშავა ძირითადად უკვე აღდგენილია. მაგრამ აღდგენა და მშენებლობა გრძელდება. ქალაქი, რომელიც გადაჭიმულია ვისლის ორივე ნაპირზე, უპირატესად დასავლეთისკენ იზრდება. მას უკავია 43 ათასი ჰექტარი ფართობი. ორ უკანასკნელ წელიწადში მისი ტერიტორია შესამედით გადიდდა. მოსახლეობა ახლა უდრის 1.087 ათასს. საკმაოა თქვას, რომ ყოველი მეოთხე ადამიანი ვარშავაში ცხოვრობს სახლში, რომელიც უკანასკნელ ათ წელიწადში აშენდა.

ქალაქის დიდებული პანორამა იშლება ზემოდან, როცა ადიხარ კულტურისა და მეცნიერების სასახლის 30-ე სართულის მოედანზე. აქედან ვარშავა მოჩანს 30 კილომეტრზე ოთხივე მხრივ. და ყველგან მოჩანს ახალი მშენებლობა.

კულტურისა და მეცნიერების სასახლე საბჭოთა ხალხის საჩუქარია მოძმე პოლონელი ხალხისადმი. მისი სიმაღლეა 236 მეტრი, მოცულობა 817 ათასი კუბური მეტრი, ვარგისი ფართობია 125 ათასი კვადრატული მეტრი, აქ არის 3.888 ოთახი. შენობა ფასადით გამოდის მოედანზე, რომელიც უერთდება ერთერთ ცენტრალურ მაგისტრალს — მარშალკოვსკის ქუჩას. მაღალი სახლი თითქოს შეზრდიაო ვარშავას. მისი შპილი მოჩანს შორს მრავალი ადგილიდან.

ვარშაველები ძლიერ ამაყობენ ვისლის ხიდებით, განსაკუთრებით პონიატოვსკის სახელობის ხიდით. უნდა ითქვას, რომ ყველა ხიდი ქალაქში გერმანელმა ფაშისტებმა დაანგრიეს. საბჭოთა მეომრებმა ვისლა უდიდესი სიძნელეებით გადალახეს. ახლა ხიდები აღდგენილია.

ნაპირზე, იქ, სადაც მდინარის კალაპოტი ყველაზე ვიწროა, ჩვენ მიწაზე დავინახეთ მარმარილოს ფილა. ეს ფიცარი დადგმულია აქ დაღუპულ დესანტის მონაწილეთა — საბჭოთა არმიის მეომრებისა და პოლონეთის ჯარის ჯარისკაცებისა და ოფიცრების ხსოვნის აღსანიშნავად.

და ახლა, როცა ხედავ სახეგამოცვლილ პოლონეთის დედაქალაქს, პატივისცემით იხსენიებ ჯარისკაცის ფარჯით გამოწყობილი საბჭოთა ადამიანების გმირობას, ვაჟკაცობასა და მამაცობას, რომლებმაც თავისუფლება მიუტანეს პოლონელ ხალხს.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში არის იარაღის ძმობის ძეგლი. მოქანდაკის მიერ წარმოქმნილი ჯარისკაცთა სახეები სიმბოლურად გამოხატავენ საბჭოთა არმიის განმათავისუფლებელ მისიას, მის საბრძოლო მეგობრობას პოლონეთის საუკეთესო შვილებთან — პოლონეთის ჯარის ჯარისკაცებთან და ოფიცრებთან. თითქმის თხუთმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ვარშაველები შეხვდნენ საბჭოთა არმიას.

— დღევანდელი ვარშავა, გვითხრა ვარშავის ნაროდოვა რადის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ზიგმუნდ დვორაკოვსკმ, — ახალი და უფრო მშვენიერია, ვიდრე გუშინ. ახლა ქალაქშია 13 უმაღლესი სასწავლებელი, 258 სკოლა. ზრუნვა ყველაზე პატარა მოქალაქეებისათვის იკისრეს სამოცდათხუთმეტმა საბავშვო ბაღმა და ორას ცხრამეტმა საბავშვო ბაღმა. არის ოცდათერთმეტი საავადმყოფო, სამას ოთხმოცდახუთი ამბულატორია და კოსნულტაცია. ყოველ საღამოს თვრამეტი თეატრი, სამოცდათერთმეტი კინოთეატრი, მათ შორის პროფკავშირული, კლუბებისა და კულტურის სახლების კინოთეატრები სტუმართმოყვარულად უღებენ კარს მაყურებლებს.

...ჩვენ ვნახეთ საბჭოთა მეომრების სასაფლაო-მავზოლეუმი, რომელიც მთელი არქიტექტურული კომპლექსია. აქ დასაფლავებული არიან ისინი, ვინც პოლონეთის სხვადასხვა ქალაქში დაიღუპა. ყველგან ყვავილებია. ერთ სკულპტურულ ჯგუფზე, რომელიც გამოხატავს მეომრების გულითად შეხვედრას მცხოვრებლებთან, არის წარწერა: „პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა, განმტკიცებული ერთად დაღვრილი სისხლით, არის სახალხო პოლონეთის დამოუკიდებლობის ურყევი საფუძველი“. წარწერა გაკეთებულია პოლონურ და რუსულ ენებზე. მასიურ კოლონაზე ვკითხულობთ სხვა პატიოსანულ სიტყვებს, აგრეთვე ორი მოძმე ხალხის ენებზე: „სამარადისო დიდება უძლეველი საბჭოთა არმიის გმირ ეომრებს, რომლებიც დაიღუპნენ ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში პოლონეთისა და ჩვენი დედაქალაქ ვარშავის განთავისუფლებისათვის“.

... ვარშავა დღითიდღე იც